ეროვნული
ბიბლიოთეკა



619
1966

# დროშა

№ 4 აპრილი 1966 წ.



მოსკოვი. კრემლის ყრილობათა სასახლე. სკკპ XXIII ყრილობის სხდომის დარბაზში.

ყრილობის დელეგატები ლენინგრადელ მუშათა ვიმპელს გადასცემენ ვიეტნამის წარმომადგენლებს.



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 4 (177) აპრილი, 1966 წ.

გამოცემის XVI წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო



ლ. ი. ბრეჟნევი,
სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.



გ. ი. ვორონოვი,
სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი.



ა. პ. კირილენკო,
სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.



ა. ნ. კოსიგინი,
სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი.



კ. ტ. მაზუროვი,
სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი.



ა. ი. პელშე,
სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი.



ნ. ვ. პოდგორნი,
სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი.



დ. ს. პოლიანსკი,
სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი.



მ. ა. სუსლოვი,
სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.



ა. ნ. შელეპინი,
სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.



პ. ე. შელესტი,
სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი.



ვ. ვ. გრიშინი,
სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი.



პ. ნ. დემიჩევი,
სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.



დ. ა. კუნაევი,
სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი.



პ. მ. მაშეროვი,
სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი.



ვ. პ. მჟავანაძე,
სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი.



შ. რ. რაშიდოვი,
სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი.



დ. თ. უსტინოვი,
სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.



ვ. ვ. შჩერბიცკი,
სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა
10074
საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

# საინფორმაციო ცნობა

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1966 წლის 8 აპრილს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის მიერ არჩეული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო შემდეგი შემადგენლობით: **პოლიტბიუროს წევრები** ამხანაგები: ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი. ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, პ. ე. შელესტი.

**პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები** ამხანაგები: ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი. დ. ა. კუნაევი, პ. მ. მაშეროვი, ვ. პ. მჟავანაძე, შ. რ. რაშიდოვი, დ. თ. უსტინოვი. ვ. ვ. შჩერბიცკი.

პლენუმმა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებად არჩეული არიან ამხანაგები: ი. ვ. ანდროპოვი, პ. ნ. დემიჩევი. ი. ვ. კაპიტონოვი, ა. პ. კირილენკო, თ. დ. კულაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ა. პ. რუდაკოვი, მ. ა. სუსლოვი, დ. თ. უსტინოვი, ა. ნ. შელეპინი.

პლენუმმა **სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის** თავმჯდომარედ აირჩია ამხ. ა. ი. პელშე.



**ი. ვ. ანდროპოვი,**
სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.



**ი. ვ. კაპიტონოვი,**
სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.



**თ. დ. კულაკოვი,**
სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.



**ბ. ნ. პონომარიოვი,**
სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.



**ა. პ. რუდაკოვი,**
სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.



**გ. ფ. სიზოვი,**
სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე.

## სკკპ ცენტრალურ სარევიზიო კომისიაში

1966 წლის 8 აპრილს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის სხდომა.

ცენტრალურმა სარევიზიო კომისიამ კომისიის თავმჯდომარედ აირჩია ამხანაგი **გ. ფ. სიზოვი.**

# პარტია—ჩვენი მესაჭე

საბჭოთა ხალხი, დედამიწის ყველა კონტინენტის მრავალი მილიონობით ადამიანი უდიდესი ყურადღებით ადევნებდა თვალს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობას — ამ უმნიშვნელოვანეს მსოფლიო მოვლენას, რომელსაც, როგორც ერთსულოვნად აღიარებენ ყველგან, აქვს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა არა მარტო ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის, არამედ მთელი საერთაშორისო ცხოვრებისათვის, მთელი კაცობრიობის წინსვლისათვის.

ეს იყო ყრილობა დიადი პარტიისა, რომელიც სათავეში უდგას მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოს; ეს იყო ყრილობა ლენინური პარტიისა, რომელსაც ელოდებოდნენ, რომლისთვისაც ესოდენი აღფრთოვანებით ემზადებოდნენ საბჭოთა ადამიანები, რომელსაც ისინი სრული უფლებით უკავშირებდნენ ჩვენი ცხოვრების არსებითი ამოცანების მომავალი გადაწყვეტის გეგმებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობისადმი მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა საბჭოთა ქვეყანაში, იგი მოექცა მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში მოცემულია დასკვნები უკანასკნელ წლებში პარტიის მრავალმხრივი მოღვაწეობის შესახებ, მოცემულია საბჭოთა კავშირის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის ღრმა მარქსისტულ-ლენინური ანალიზი, დასახულია ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობისათვის შემდგომი ბრძოლის ძირითადი მიმართულება, პარტიის მთავარი საგარეო პოლიტიკური ამოცანები.

ჩვენი პარტიის XXII ყრილობიდან XXIII ყრილობამდე განვლილი პერიოდი აღსავსე იყო დიდი და მნიშვნელოვანი მოვლენებით როგორც ჩვენი ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ცხოვრებაში. ხელმძღვანელობდა რა პარტიის XX—XXII ყრილობების მიერ განსაზღვრული ხაზით, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მთელი ამ წლების მანძილზე განუხრელად მიჰყავდა საბჭოთა ხალხი კომუნიზმის მშენებლობის გზით. პარტიის მთელი მოღვაწეობის მიზანი იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის შესრულება. კომუნიზმის მატერიალურ-

ტექნიკური ბაზის შექმნა, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება, საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფა, საბჭოთა ადამიანის აღზრდა მაღალი კომუნისტური შეგნების სულისკვეთებით. პარტია ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა უზრუნველეყო საბჭოთა ხალხის შრომის მშვიდობიანი პირობები, აქტიურად იბრძოდა მთელს მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

განვლილი წლების შედეგებმა ისევ და ისევ დაამტკიცეს და საბჭოთა ადამიანებიც ყოველდღიურად რწმუნდებიან, რომ პარტიის პოლიტიკა — საშინაოც და საგარეოც — ერთადერთი სწორი პოლიტიკაა, ხოლო ის გზა, რომლითაც პარტიას ჩვენი ხალხი მიჰყავს, ერთადერთი სწორი ლენინური გზაა. შემდგომშიაც განუხრელად განახორციელოს ასეთი, ხალხის მიერ სავსებით გაზიარებული და მხურვალედ მოწონებული პოლიტიკა — ამაში ხედავს პარტია თავის მთავარ ამოცანას.

ამხანაგ ა. ნ. კოსიგინის მოხსენებაში ნათლად გადაიშალა ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების უბრწყინვალესი პერსპექტივები. 1966—1970 წლების ხუთწლიანი გეგმა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლის ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპია. ყრილობამ განსაზღვრა ახალი ხუთწლიანი გეგმის მთავარი ამოცანა. ეს ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ყოველნაირად გამოყენების, მთელი მისი ეფექტიანობისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების საფუძველზე უზრუნველვყოთ მრეწველობის შემდგომი მნიშვნელოვანი ზრდა, სოფლის მეურნეობის განვითარების მაღალი, მყარი ტემპები და ამის მეოხებით მივაღწიოთ ხალხის ცხოვრების დონის არსებით ამაღლებას, ყველა საბჭოთა ადამიანის მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილებას.

მომავალ ხუთწლედში ახალი ნაბიჯები გადაიდგმება ისეთი პრობლემების გადასაჭრელად, როგორიც არის არსებითი განსხვავების დაძლევა ქალაქსა და სოფელს შორის, გონებრივსა და ფიზიკურ შრომას შორის. დიდი ეკონომიური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტის შედეგად კიდევ უფრო განმტკიცდება მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის პოლიტიკური საფუძველი და მატერიალური ბაზა, კიდევ უფრო განვითარდება ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ ხალხთა ძმური კავშირი.

სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი ხუთწლიანი გეგმა გამოხატავს მისწრაფებას კიდევ უფრო ფართოდ გამოვიყენოთ ყველა ჩვენი შესაძლებლობა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის დინამიკური ზრდის ინტერესებისათვის, მთელი ხალხის მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის.

ხუთდღიანი სამუშაო კვირის შემოღება ორი დასვენების დღით, ხელფასების ზრდა, რომ მისი მინიმუმი არ იყოს 60 მანეთზე ნაკლები, პენსიების გადიდება, გადასახადების შემდგომი შემცირება, ფასების შემცირება ბევრ სამრეწველო საქონელზე და სხვა — მარტო ამის მოხსენიებაც კმარა, რომ აშკარა გახდეს ის დიდი ზრუნვა, რასაც ჩვენი პარტია და სახელმწიფო იჩენს ჩვენი ადამიანების მიმართ.

ახალი ხუთწლიანი გეგმის პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური მნიშვნელობა, მისი განხორციელებისათვის ბრძოლა შორს სცილდება ჩვენი ქვეყნის ფარგლებს. ქვეყნის ეკონომიური განვითარების ამ ახალ გეგმაში პრაქტიკულად ხორცშესხმულია პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ურყევი ერთგულება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური პრინციპებისადმი, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის, ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინაშე თავიანთი ინტერნაციონალური მოვალეობისადმი. ხუთწლედის წარმატებით შესრულება კარგ სამსახურს გაუწევს მსოფლიო სოციალისტური სისტემის ერთიანობის შემდგომი განმტკიცების საქმეს, კიდევ უფრო აამაღლებს საბჭოთა კავშირის ეკონომიურ და თავდაცვითს ძლიერებას, განამტკიცებს მის საერთაშორისო ავტორიტეტს.

ყრილობაზე გამოსული დელეგატები რწმენითა და სიამაყით ლაპარაკობდნენ ჩვენი ქვეყნის ხვალინდელ დღეზე; რაც უფრო სწრაფად და ნაყოფიერად წავა წინ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის საქმე, მით უფრო მაღლა აიწევს ჩვენი ადამიანების ცხოვრების დონე, მით უფრო წარმატებით იქნება გადაწყვეტილი ჩვენი საერთაშორისო ამოცანებიც.

პარტიის საგარეო პოლიტიკურ მოღვაწეობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ძლიერების განმტკიცებისათვის ზრუნვას. ჩვენი პარტია შემდგომშიც ყოველმხრივ შეუწყობს ხელს სოციალისტური თანამეგობრობის დარაზმულობას, მისი ძლიერებისა და გავლენიანობის განმტკიცებას, მის ახალ-ახალ გამარჯვებებს. ამასთან, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მთელი საბჭოთა ხალხი გამოხატავენ მხურვალე სოლიდარობის გრძნობას კაპიტალისტური სახელმწიფოების მშრომელებისადმი, ღრმად აქვთ რა შეგნებული, რომ საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წარმატებები უდიდეს მხარდაჭერას წარმოადგენს ჩვენი კლასობრივი ძმებისათვის მათ გმირულ ბრძოლებში მშვიდობისა, თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის.

დღეს მსოფლიოში 88 კომუნისტური პარტიაა, რომლებიც თავიანთ რიგებში აერთიანებენ 50 მილიონ მებრძოლს. საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის წარმატებები ეჭვს არ იწვევს, მაგრამ უკანასკნელ წლებში მას მოუხდა სერიოზულ სიძნელეებთან შეჯახება, რომლებიც დღემდე გადალახული არ არის. სკკპ XXIII ყრილობაზე კვლავ მთელი ხმით იქნა გამოთქმული რწმენა ჩვენი პარტიისა იმის შესახებ, რომ რაც უფრო მტკიცეა კომუნისტური მოძრაობის ყველა რაზმის სოლიდარობა, მით უფრო ძლიერია საერთაშორისო ანტიიმპერიალისტური ფრონტი, მით უფრო წარმატებით ვითარდება მსოფლიო რევოლუციური პროცესი.

საერთაშორისო მუშათა კლასის გამარჯვებებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ეროვნულ-განმანათლებელი მოძრაობის წარმატებებიც. სკკპ თავის ინტერნაციონალურ მოვალეობად მიაჩნია მხარი დაუჭიროს ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხებს, რომლებიც იბრძვიან კოლონიალური და ნეოკოლონიალური უღლიდან ერთხელ და სამუდამოდ განთავისუფლებისათვის.

მთელი მოწინავე კაცობრიობა ჰგმობს იმ აგრესიულ პოლიტიკას, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ გერმანიის მილიტარისტული წრეები ახორციელებენ.

ერთგული თავისი ლენინური მშვიდობიანი პოლიტიკისა, რომელიც გამომდინარეობს ჩვენი სახელმწიფოს ბუნებიდან, საბჭოთა კავშირი, სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად, თავდადებით იბრძვის საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, მშვიდობის განმტკიცებისათვის, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობის სახელმწიფოების მშვიდობიანი თანაარსებობისათვის.

ყრილობის დელეგატებმა ყოველმხრივ განიხილეს საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები, პარტიის ამოცანები სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე. ყოველი დელეგატი ხაზგასმით აღნიშნავდა: ჩვენ ყველა პირობა გვაქვს იმისათვის, რომ ჩვენი ძალებისა და შესაძლებლობების სრული შეგნებით შევძლოთ ჩვენი წინსვლის დაჩქარება, კიდევ უფრო დიდი ამოცანების დაყენება და გადაწყვეტა.

ყრილობამ შეიტანა ზოგიერთი ცვლილება სკკპ წესდებაში. ამ ცვლილებებს მიზნად აქვთ დასახული პარტიის წევრის წოდების კიდევ უფრო ამაღლება, შინაპარტიული დემოკრატიის გაფართოება, პარტიული ორგანიზაციების თაოსნობისა და აქტიურობის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფა, კომუნისტების პასუხისმგებლობის გადიდება თავიანთი ორგანიზაციებისა და მთლიანად პარტიის საქმიანობისათვის.

პარტიის XXIII ყრილობამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა საბჭოთა ხალხის ერთსულოვანი დარაზმულობა მშობლიური პარტიის ირგვლივ, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ირგვლივ, საბჭოთა კავშირის ხალხების ურყევი მეგობრობა და საერთო ბრძოლითა და შრომით, საერთო მიზნებით შედუღაბებული ერთიანობა.



# მანდატი №1

ევგენი მარი

საბჭოთა მთავრობა პეტროგრადიდან მოსკოვში რომ გადმოვიდა, ლენინმა გამოიძახა ცნობილი რუსი არქიტექტორი ივანე ჟოლტოვსკი. ისინი დიდხანს საუბრობდნენ იმის შესახებ, როგორი უნდა ყოფილიყო მომავალი მოსკოვი, დიდი საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქი.

არქიტექტორმა სიხარულით გადუშალა ვლადიმერ ილიას ძეს ქალაქის რეკონსტრუქციის გეგმა.

ეს იყო ხანგრძლივი მუშაობის შედეგი. რა თქმა უნდა, მოსკოვის წინანდელ თავკაცებთან — ვაჭრებთან და მეფაბრიკეებთან სიტყვასაც ვერ დასძრავდი ასეთ გაბედულ გეგმებზე.

ვლადიმერ ილიას ძე ყურადღებით ადევნებს თვალს ჟოლტოვსკის ფანქარს! ფანქარი სრიალებს რუკაზე და მოგზაურობს, ალბათ, არც თუ ისე შორეული მომავლის მოსკოვში.

— ჩვენ ვფიქრობთ ავაშენოთ ახალი რაიონები ქალაქის სამხრეთ-დასავლეთით. ეს უნდა იყოს ჩვენი ძირითადი მიმართულება. აქ, ვორობიოვის მთებთან ზეგანია, გვერდით მდინარე მოსკოვი. სუფთა ჰაერია, კაცი თავისუფლად სუნთქავ, —ეუბნებოდა ჟოლტოვსკი ლენინს.

— ადგილიც ისტორიულია, — შენიშნა ლენინმა.

— რა თქმა უნდა. ვორობიოვის მთებზე გერცენმა და ოგარიოვმა ერთმანეთს თავისუფლებისადმი ერთგულება შეჰფიცეს. სწორედ აქ უნდა აღმოცენდეს ქალაქი მომავლისა, რაზედაც ეს მებრძოლები ოცნებობდნენ.

— როგორც კი მტერს გავანადგურებთ, ფართო მშენებლობას დავიწყებთ, მაგრამ მოსკოვის გარდაქმნის პროექტებზე მუშაობა ახლავეა საჭირო, — უთხრა ლენინმა ჟოლტოვსკის გამოთხოვებისას, — ჯერჯერობით კი ყველაზე პირველი, ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა გავწმინდოთ მოსკოვი ტალახისაგან, ჭურღმულებისა და ქოხმახებისაგან...

ვლადიმერ ილიას ძე იყო მოსკოვის ტრიოხგორკის მანუფაქტურის — ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდი საფეიქრო ფაბრიკის მუშების დეპუტატი მოსკოვის საბჭოში. ამ ფაბრიკის მეპატრონე წინათ პროხოროვი იყო.

ნაირფერი ჩითები, რომელსაც ტრიოხგორკის ფეიქარი ქალები ქსოვდნენ, მთელ რუსეთში იყო განთქმული. შეიძლება ითქვას, ტრიოხგორკელები მილიონობით ადამიანს აცმევდნენ, თვითონ კი სიღარიბეში ცხოვრობდნენ.

მეფაბრიკე პროხოროვმა იქვე, ტრიოხგორკის მახლობლად, თავისი მუშებისათვის ბნელი ყაზარმები ააშენა. იქ ერთი ოჯახი მეორისაგან ჩითის ფარდებით იყო გამოყოფილი, სხვა ფაბრიკებშიაც როდი იყო უკეთესი მდგომარეობა.

იმისათვის, რომ გაეგო, როგორ ცხოვრობდნენ მოსკოველი მუშები, მოსკოვის საბჭოს დეპუტატმა ლენინმა სოკოლნიკებიდან კრემლამდე ფეხით გაიარა.

ამ მოგზაურობიდან ვლადიმერ ილიას ძე იმდენად დაღლილი არა, რამდენადაც აღელვებული დაბრუნდა.

მელითონეებიც და ფეიქრებიც ერთნაირად ვიწროდ ცხოვრობდნენ. ბევრ მათგანს სარდაფის კუთხეები ეჭირა და ეს მაშინ, როცა ქალაქის ცენტრში ყოფილი ბატონების ასობით ბინა ცარიელი იყო. ლენინმა მოსკოვის საბჭოში შეიტანა წინადადება: სარდაფებიდან და განაპირა ქოხმახებიდან, აგრეთვე საფაბრიკო ყაზარმებიდან მუშები გადაეყვანათ მდიდართა და მოხელეთა ცარიელ ბინებში.

ამგვარად დამშეულ და სუსხიან მოსკოვში, სადაც ჯერ არც ერთი ახალი შენობა არ აეგოთ, ერთბაშად ასეულ ათასობით ახალმოსახლე გაჩნდა. ზეინკლები და ხარაზები, ფეიქრები და მრთველი ქალები ჩასახლდნენ ბინებში, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინათ თავად იუსუპოვებს, გრაფ შუვალოვებს ან შერემეტიევებს, მდიდარ მოროზოვებსა თუ რიაბუშინსკებს ეკუთვნოდათ.

„ეს კარგია, მაგრამ მუშები კრასნაია პრესნადან ან ბლაგუშიდან, სადაც ისინი მუშაობენ, როგორღა მივიდნენ სახლში?“ — ფიქრობდა ლენინი.

მაშინ ტრამვაები, ელექტრონის უქონლობის გამო, იშვიათად დადიოდნენ და ვლადიმერ ილიას ძემ წინადადება წამოაყენა ახალმოსახლეებისათვის გადაეცათ რამდენიმე ათასი ველოსიპედი, რომლებიც ბრძოლებში მოწინააღმდეგეს წაართვეს.

ხშირად ვლადიმერ ილიას ძე მოსკოვის ქუჩებში რომ გაივლიდა, უცებ დაინახავდა რომელიმე ხანში შესულ მუშას — ზეინკალს ან ხარატს, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებისაგან მიღებული ველოსიპედით მიჭქროდა კრასნაია პრესნასა ან ბლაგუშაზე. მიჭქრის და ოდნავ ხტის ქვაფენილზე: იმ დროს მოსკოვში ასფალტი ჯერ კიდევ არ იყო.

თვითონ ვლადიმერ ილიას ძეს უყვარდა ველოსიპედით სიარული, თანაც აუცილებლად სწრაფად უნდა ევლო.

მოსკოვის საბჭოს დეპუტატი ლენინი ხშირად ხვდებოდა თავის ამომრჩევლებს. ხშირად გამოდიოდა იგი სიტყვით მათ წინაშე და ყოველთვის ცდილობდა დაწყებამდე მისულიყო, რათა ორიოდე სიტყვით გასაუბრებოდა მუშებს.

ტრიოხგორკელებსაც უხაროდათ თავიანთ დეპუტატთან შეხვედრა. მიდიოდნენ კრემლში, რათა ვლადიმერ ილიას ძისათვის გადაეცათ მოსკოვის საბჭოს წევრის ბილეთი ანდა დეპუტატის მანდატი, როგორც მაშინ უწოდებდნენ.

ამ მანდატზე ეწერა № 1. დეპუტატების სია იწყებოდა ულიანოვ-ლენინის გვარით.

მუშები კითხულობდნენ სიას და ამბობდნენ:

— მივცემთ ხმას! რადგან ლენინი პირველი სწერია, მაშასადამე, სიაც სწორია.

ერთხელ — ეს იყო მოსკოვის საბჭოს სხდომაზე — ტრიოხგორკელებმა გადაწყვიტეს შესვენებისას მისულიყვნენ ლენინთან. მათ სურდათ ელაპარაკათ თავიანთ ტრიოხგორკაზე, რომელმაც უკვე მოაგვარა პროდუქციის გამოშვების საქმე და ქვეყნისათვის კვლავ ქსოვდა ჩითებს.

ეძებეს ლენინი და ვერ იპოვნეს. არ იყო არც პრეზიდიუმში და არც გვერდით ოთახში. ბოლოს, თვალი მოჰკრეს — ლენინი სხვებთან ერთად იდგა ერთი ნაჭერი პურისა და ტოლჩა მდუღარე წყლისათვის. ვიღაც წინმდგომმა შესთავაზა ლენინს ურიგოდ მიეღო საუზმე, მაგრამ ლენინი არ დასთანხმდა.

— უკაცრავად, წესრიგი ჩვენში ყველასათვის ერთია და მისი დარღვევის უფლება არავის არა აქვს, — უთხრა მას ლენინმა.

ლენინი მოითხოვდა მკაცრად დაესაჯათ ის ხელმძღვანელები, რომლებიც უყურადღებობას იჩენდნენ ადამიანების მიმართ.

ერთხელ მან სთხოვა კრემლის მეტელეფონე ქალს დაეკავშირებინა იგი მოსკოვის საბჭოს აღმასკომთან.

— ცნობილია თუ არა თქვენთვის, როგორი ტემპერატურა იყო დღეს მოსკოვის საავადმყოფოებში, და, კერძოდ, სოლდატენკოვსკში? — ჰკითხა ლენინმა აღმასკომის მუშაკს, რომელმაც ყურმილი აიღო, — არ იცით?.. ძალიან, ძალიან სამწუხაროა, ავადმყოფები იქ იყინებიან, თქვენ კი რა გენაღვლებათ. წუხელ, რომ იცოდეთ, ამ საავადმყოფოში სიცივის გამო პროფესორმა ოპერაცია ვერ გააკეთა. გთხოვთ შეამოწმოთ და შედეგები მაცნობოთ.

მეორე დღესვე ვლადიმერ ილიას ძეს მოახსენეს: ზომები მიღებულია, სოლდატენკოვსკის საავადმყოფოში თბილა. ექიმებიც და ავადმყოფებიც კმაყოფილნი არიანო.

ლენინი — ტრიოხგორკელების დეპუტატი — სამუდამოდ დარჩა მოსკოვის საბჭოს წევრთა სიაში.

ეს სია ახლაც დეპუტატ ლენინის სახელით იწყება და მას უწერენ № 1 ბილეთს.

თარგმნეს დ. შენგელიამ და გ. მეტრეველმა

# ერთი პასპორტის ამბავი

**შალვა გომიძე**

კომუნისტური პარტიის დამაარსებელსა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელს ვ. ი. ლენინს მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე, სხვადასხვა დროს, ასამდე ფსევდონიმი და პარტიული მეტსახელი ჰქონდა. ამ ფსევდონიმთა დიდი უმრავლესობა მკვლევართა მიერ უკვე გახსნილი და შესწავლილია.

გასაგებია, რომ არალეგალური მუშაობის პირობებში ლენინს ხშირად უხდებოდა პასპორტების გამოცვლაც. ასე, მაგალითად, 1906 წლის აპრილსა და მაისში მას ჰქონდა პასპორტი ჩხეიძის გვარზე.

ნ. კ. კრუპსკაია თავის მოგონებებში ლენინის შესახებ წერს: „სტოკჰოლმის ყრილობიდან დაბრუნების შემდეგ ჩვენ დავსახლდით ზაბალკანსკის პროსპექტზე, მე პრასკოვია ონეგინას პასპორტით, ილიჩი კი ჩხეიძის პასპორტით“. სანამ ამ პასპორტებს ამზადებდნენ, ლენინს ღამის გათენება შეეძლო მხოლოდ ლესჩენკოსთან, კნიპოვიჩთან, ვიტმერებსა და რუმიანცევებთან საბლინოში, სადაც, სხვათა შორის, კონსპირაციის მიზნით იშვიათად მიდიოდა.

ჩხეიძის სახელზე პასპორტის მიღების შემდეგ ვ. ი. ლენინი, ნ. კ. კრუპსკაიასთან ერთად, დასახლდა პეტერბურგში, ზაბალკანსკის, ამჟამად მოსკოვის პროსპექტზე.

„ეზოს ორი ჰიშკარი ჰქონდა, ბინაც კონსპირაციის თვალსაზრისით მოხერხებული გახლდათ, დიასახლისი მეტად შორს იდგა პოლიტიკისაგან. არც არავინ საეჭვო ცხოვრობდა აქ. მაგრამ ერთი უბედურება მაინც იყო ის, რომ ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა ვიღაც სამხედრო პირი, რომელიც მხეცურად სცემდა თავის ცოლს და თმით ათრევდა დერეფანში. არც დიასახლისი იყო მაინცდამაინც დიდად თავაზიანი. იგი თავმომაბეზრებლად ეკითხებოდა ილიჩს მისი მშობლების შესახებ და უმტკიცებდა, რომ გიცნობდი ჯერ ისევ ოთხი წლისას, მხოლოდ მაშინ უფრო შავგვრემანი იყავიო“.

იმ პერიოდში, როცა ვ. ი. ლენინი ჩხეიძის პასპორტით ცხოვრობდა, იგი აქვეყნებდა წერილებს რსდმ პარტიის IV გამაერთიანებელი ყრილობის შედეგებზე, გამოდიოდა ამავე საკითხზე მოხსენებებით მუშათა კრებებზე.

9 მაისის შემდეგ ვ. ი. ლენინი იძულებული გახდა დამალულიყო პეტერბურგში და ღამეები ეთია თავის მეგობრების ბინებში. ეს გაგრძელდა 1906 წლის ივლისის პირველ რიცხვებამდე, როცა ილიჩი და ნ. კ. კრუპსკაია ხელმეორედ დასახლდნენ კუოკალაში (ფინეთი).

საიდან გაჩნდა ლენინის ხელში პასპორტი ჩხეიძის სახელზე?

შეიძლება თუ არა ვიფიქროთ, რომ ეს პასპორტი ეკუთვნოდა ნ. ს. ჩხეიძეს, III და IV მოწვევის სახელმწიფო სათათბიროს წევრს, რომელსაც შემდგომში, 1917 წლის თებერვლიდან აგვისტომდე პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარის პოსტი ეჭირა?

ჩვენი აზრით და ნ. ს. ჩხეიძის ქალიშვილის — ნატალია ჩხეიძის სიტყვებით, ეს შესაძლებლობა გამორიცხულია, რადგან ჩხეიძის ოჯახი ამ წლებში ბათუმში ცხოვრობდა. ნ. ს. ჩხეიძე პეტერბურგში პირველად მხოლოდ 1907 წელს ჩავიდა, როცა იგი არჩეულ იქნა III სახელმწიფო სათათბიროს წევრად.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს პასპორტი ლენინს საქართველოდან გაუგზავნეს ძველმა ბოლშევიკმა იატაკქვეშელებმა. ამის თაობაზე ლაპარაკობს თავის მოგონებებში ძველი ბოლშევიკი ვანო სტურუა, რომელიც მუშაობდა ბაქოს იატაკქვეშურ ბოლშევიკურ სტამბაში („ნინა“), ხოლო უფრო გვიან, პარტიის გადაწყვეტილებით, გადაყვანილ იქნა პეტერბურგში.

პეტერბურგში, ფონტანკაზე არსებულ სტამბაში მუშაობის გარდა, ვ. სტურუა ასრულებდა ლენინისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხვა დავალებებსაც. ერთხელ ის თბილისში გამოემგზავრა სპეციალურად იმისათვის, რომ აქედან დოკუმენტები ჩაეტანა იატაკქვეშელი პარტიული მუშაკებისათვის. ჩხეიძის პასპორტით ლენინი ერთხანს პეტერბურგში ცხოვრობდა, მაგრამ ეტყობა ამ პასპორტით დიდად არ სარგებლობდა, რაც სრულიად ბუნებრივიც იყო: ქართულ გვარს შეეძლო ადვილად გამოეწვია ეჭვი, მითუმეტეს, რომ ლენინი არალეგალურად ცხოვრობდა და მას გამალებით დაეძებდნენ პოლიციის აგენტები.

დიდ ინტერესს იწვევენ ვ. ი. ლენინის დღემდე შეუსწავლელი ფსევდონიმები. ნ. ნ. ვოლპერი, ავტორი ბროშურისა „ლენინის ფსევდონიმები“, ილიჩის ერთ-ერთ ფსევდონიმად ასახელებს ჩხეიძის გვარს, მაგრამ ჯერჯერობით არ ჩანს, რომ ლენინს ამ ფსევდონიმით რაიმე დაეწეროს.

კარგი იქნებოდა, თუ ძველი ბოლშევიკები გამოგვეხმაურებიან და შეგვატყობინებენ ყველაფერს, რაც მათ იციან ვ. ი. ლენინის ფსევდონიმების შესახებ.

გრიგოლ აბაშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვასახელოთ მარადის

აქ პირველად თითქოს მევლოს,
გული ისე მიღელავს...
ვინ შესწვდება საქართველოს
ფრთააწყვეტილ სიმღერას.

ჩვენი მძაფრი საუკუნე
ძველს არა ჰგავს, სხვა არი,
რომ გრიალებს, რომ გუგუნებს,
ჩვენი ქვეყნის ხმა არი.

გვფარავს დროშა მარადისი
საძმო ფიცად დათქმული,
თბილისიდან შორს გაისმის
მძლავრი ვაშა ქართული.

ზეიმია მთაში, ბარში,
სტუმარს უხმობს ჰიშკარი,
საამური ალმის გაშლით
მწვერვალისკენ ვიჩქარით.

მზემ გააქრო ქუფრი ბინდი,
წინ სიცოცხლე მიჰყავს გულს,
გზა და ხიდი, გზა და ხიდი, —
ძმობით გამთბარ სიყვარულს!

ვაჟკაცობა კვალში გვდევდა
ასპინძის და მარაბდის,
საქართველო — ჩვენი დედა
ვასახელოთ მარადის!

მოვიგონოთ, ვინც გზას სჭრიდა
წმინდა ბრძოლის ხალისით,
მოვიგონოთ, ვინც სისხლს ღვრიდა
და ვერ ნახა მაისი.

ზე ავწიოთ დროშა ჩვენი, —
მოფრიალე, კაშკაშა,
წინ რომ გვიძღვის მუდამ ლხენით,
ჩვენ რომ ასე გვაკაუა.

მაშ, აყვავდით, მთა და ველო,
ზეცა უფრო ბრწყინდება,
გაუმარჯოს საქართველოს
და ქართველ ხალხს დიდება!



**მარგინ ქარამიანი**

## ტ ი რ ი ფ ი

I

ვარ მებრძოლი გულადი,
მხნე და დაუღალავი,
არ მჩვევია არასდროს
სევდა — სულის მზარავი.
მაგრამ როცა ვიგონებ
ჩემს გარდასულ ცხოვრებას,
რაღაც ჩუმი ტკივილით
სული დამეთოვლება.
შორს, შორს, ნისლში ციმციმებს,
მზის სხივი რომ არ იცის,
ჩემი ძველი სოფელი,
ჩვენი ქოხი ალიზის.
ქოხთან წყალი ჩამოდის,
წყალთან ტირის ტირიფი
და თავს იხრჩობს მინდვრისკენ
გაქცეული ბილიკი.

II

ირიჟრაჟა. ვარსკვლავნი
სანთლებივით ჰქრებიან,
ტოტებს არხევს ტირიფი,
ნამის მინანქრებიანს.
გაიღვიძებს ბებია —
ღვიძლი დაი ტირიფის,
მათ ორივეს დალალი
გაუთეთრდათ ტირილით.
როცა უკანასკნელი
ვარსკვლავები ჰქრებიან,
დროა, გაიღვიძეთო! —
მკაცრად იტყვის ბებია.
და მიდიან ყველანი
ლუკმის საშოვნელადა,
„ღმერთო, გადმოგვხედეო,
მოგვევლინე მხსნელადა“...
შინა ვრჩებით მხოლოდ მე,
ბებია და ჩემი და,
ტახტზე ჯარა ტრიალებს
წერწეტ წელის რხევითა.
იჯდა, მოხუცს თვალები
ცრემლით ჩაჰლამებოდა,
ჯარას ატრიალებდა
და თან ზღაპრებს ჰყვებოდა.
მოგვითხრობდა, დღეები
მიდიოდნენ ტირილში,
თავზე დაგვკანკალებდა
ბებო საწყალ შვილიშვილთ.
თან გვეტყოდა: „ითმინეთ,
მოვა შემოდგომა და
ახალ სამოსს გიყიდით,
ტკბილეულსაც ბლომადა.“
ღამე ზეცას მოჰფენდა
ვარსკვლავების ქვირითით,
ბებია კი ტიროდა
ვით წყაროსთან ტირიფი.
შემოდგომაც მოვიდა
წვიმითა და გლოვითა...
რა ღრმად ჩასძინებია
ჩვენს საყვარელ ბებიას,
და ის ჩვენი ტირიფი
დიდი, რტოებ-ირიბი,
საკუბოე ფიცრისთვის
მოუჭრია მამასა...
შიგ მძინარე ბებია
წაიყვანეს, მაგრამ სად?...

III

შორს, შორს, ნისლში ციმციმებს
მზის სხივი რომ არ იცის,
ჩემი ძველი სოფელი
ჩვენი ქოხი ალიზის.
ახლა, როცა ვიგონებ
იმ ჩვენს წარსულს მწუხარეს,
სადიდებლად ამ დღეთა
ვიღწვი, ვშრომობ, ვმქუხარებ,
ჩვენს ამ ლამაზ ცხოვრებას
უფრო ფხიზლად ვდარაჯობ,
რომ ის შავი დრო-ჟამი
არ დაბრუნდეს არასდროს.

**თარგმნა თ. ჯანგულაშვილმა**

# კიდევ ერთი სიახლე

**ლამაზი ქალაქია კიევი, განსაკუთრებით გაზაფხულზე, როცა მისი პროსპექტები და ქუჩები ხასხასა მწვანეშია ჩაფლული, უზარმაზარ პარკებსა და ხეივნებს კი ათასფერი ყვავილები მოსდებია.**

**მაგრამ კიეველთა სიამაყე მაინც დნეპრის სანაპიროებია.**

**ლაღად მოედინება დიდი მდინარე. აგერ ერთ ადგილას ხიდს აშენებენ. ამ ხიდზე მეტროს ვაგონები გაივლიან. მის ქვემოთ, კიდევ უფრო ფართო ხიდზე უწყვეტ ნაკადად მოძრაობენ მანქანები.**

**ეს ხიდი ომის შემდეგ აშენდა და აკადემიკოს ევგენი პატონის სახელს ატარებს, რადგან მისი რკინის უზარმაზარი ნაწილები ერთმანეთთან დაკავშირებულია ელექტროშედუღების ხერხით, რომელიც აკად. პატონმა დაამუშავა.**

**ელექტროშედუღების ამ ახალ მეთოდზე გვიამბო თბილისელმა ინჟინერმა გივი ალადაშვილმა. ის აქ, დნეპრის სანაპიროზე, შემთხვევით გავიცანით.**

**აკადემიკოს პატონის სახელობის კიევის ელექტროშედუღების ინსტიტუტი... ამ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას იცნობენ არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.**

**ლითონების შედუღება ადამიანებმა ათასეული წლების წინ ისწავლეს, მაგრამ ელექტროშედუღების ხერხი შექმნეს მის შემდეგ, რაც მეცნიერებმა ელექტრული რკალის მოვლენები აღმოაჩინეს. შემდეგ ელექტროდენის დახმარებით შედუღებაც სცადეს.**

**ახლა ელექტროშედუღებას ყველგან იყენებენ. შექმნილია შემდუღებელი ავტომატები. მათ მსხვილ საწარმოებში ხმარობენ, დღევანდელი დღე წარმოუდგენელია ელექტროშედუღების გარეშე და სიახლენი, რაც ამ დარგში ჩვენს ქვეყანაში იბადება, ინსტიტუტის თანამშრომელთა დაძაბული მუშაობის შედეგია.**

**აი თუნდაც ინსტრუმენტი, რომლისთვისაც „ელექტრონული ქვემეხი“ შეურქმევიათ. ეს მართლა ქვემეხი როდია. იგი ტელევიზორის პრინციპზეა აგებული. შეიძლება ბევრს გაუკვირდეს, რა კავშირი აქვთ ერთმანეთთან ყველასთვის ასე ნაცნობ ტელევიზორს და შედუღების აპარატსო. მაგრამ ეს ასეა.**

**ელექტრული სხივი XX საუკუნის საოცრებაა, რომელიც ტელევიზორის ეკრანზე გამოსახულებას ხაზავს არაჩვეულებრივი სისწრაფით. ელექტრო სხივს თურმე ასევე „უნარი შესწევს“ საიმედოდ შეაერთოს ერთმანეთთან ლითონები, მაგრამ, რასაკვირველია, ამ შემთხვევაში სხივი გაცილებით ძლიერია. ასეთი სხივი ინსტიტუტში მიიღეს ტექნიკური მეცნიერების დოქტორის ბ. მოვჩანუმის ხელმძღვანელობით.**

**მეცნიერმა ორიგინალური კონსტრუქცია შექმნა, რომელიც სიმარტივით და გამძლეობით გამოირჩევა სხვა აპარატებისაგან.**

**ელექტრონული სხივით შედუღება პირდაპირ საოცრებაა. ჯერ ერთი, სხივით შეიძლება ერთმანეთთან შედუღდეს ნებისმიერი მასალა, თუნდაც მაგალითად, ქვები, თუ არაფერს ვიტყვით ვოლფრამზე, მოლიბდენზე და სხვა ძნელად მდნობ ლითონებზე. მთავარია მხოლოდ ის, რომ შესადუღებელი ნაწილების დნობის ტემპერატურა ძალზე არ განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან. მეორეც, ელექტროენერგიის ხარჯვა ოცჯერ ნაკლებია, ვიდრე რკალური შედუღების დროს, რადგან საჭირო არ ხდება მასალის დიდი მოცულობის გახურება.**

**ელექტრონული სხივი ისე გამოირჩევა საჭრისისა და ბურღისაგან, როგორც ქირურგის უზუსტესი ინსტრუმენტი ნაჯახისაგან.**

**ინსტიტუტში კვლავ გრძელდება მუშაობა ამ აპარატის შემდგომი სრულყოფისათვის.**

**უკრაინელი მეცნიერები კიდევ უფრო შორს მიდიან. არსებობს ელექტრონების სხივზე უწვრილესი რამ — ფოტონების კონა, ანუ მარტივად რომ ითქვას, სინათლის სხივი.**

**ექსპერიმენტებმა აჩვენეს, რომ სინათლის სხივს შეუძლიან გაბურღოს, შეადუღოს, დაადნოს ყოველგვარი ნივთიერება, ალმასიც კი.**

**ვათვალიერებთ ინსტიტუტის ლაბორატორიებს, გივი სიყვარულით გვიამბობს თავის უკრაინელ კოლეგებზე, ამხანაგებზე, თავის თავზე კი ცოტას ლაპარაკობს — ინჟინრად მუშაობს აქ, დისერტაციას მოკლე ხანში წარადგენს. ძლიერ შეეჩვია კიევს. ეს არის და ეს.**

**შევეკითხეთ, თუ რა საკითხებზე მუშაობს; თემა მართლაც საინტერესო და მნიშვნელოვანი აუღია — ავტომობილისა და ტრაქტორის ძრავების ლილვების აღდგენა. გარკვეული დროის შემდეგ ხომ ათიათასობით ძრავის ლილვი მოითხოვს შეცვლას, თუ მას თავდაპირველი ზომები არ აღუდგინეს. და გივიმ ახალი ხერხი დაამუშავა ინსტიტუტში. ამ ხერხს ახლა წარმოებაშიც იყენებენ.**

**ინჟინერ ალადაშვილის მეთოდით ხდება ლილვების აღდგენა მოსკოვის, კიევის, კიშინიოვის ავტოსარემონტო ქარხნებში. ახლა გივის ძლიერ უნდა თავისი მეთოდი თბილისშიც დანერგოს.**

**აკად. ე. პატონის სახელობის ელექტროშედუღების ინსტიტუტში გივის თბილისელი მეგობრებიც მუშაობენ. აი, თუნდაც ინჟინრები დავით დიდებულიძე და ანზორ ბოჭორიშვილი. ხშირად ჩამოდის კიევში ხანგრძლივი მივლინებებით ალ. ტაბიძე. იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტისა და პატონის სახელობის ინსტიტუტის ერთობლივი თემების ცალკეული საკითხების გადაწყვეტაზე მუშაობს.**

**ინსტიტუტში მივლინებულ თბილისელებს ახლოს იცნობს ინსტიტუტის დირექტორი, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ბ. პატონი, განსვენებული აკადემიკოსის შვილი და მისი საქმის განმგრძობი, იგი რამდენიმე წლის წინათ ესტუმრა ჩვენს რესპუბლიკას, სადაც ჩატარდა კონფერენცია შედუღების საკითხებზე, და მდიდარი შთაბეჭდილებებით დაბრუნდა კიევში.**

ინჟინერი ა. კარბელაშვილი



# [illegible] პირველობა



ოჯახებში ახლა იშვიათად-ღა ნახავთ რკინის საწოლებს. ციალასაც დაებადა სურვილი ხის საწოლები შეეძინა, ქმარს მოსვენება აღარ მისცა — ვიყიდოთო; ერთ საღამოს დაზოგილი ფული ამოიღეს, დათვალეს, და გადაწყვიტეს მეორე დღეს, დილითვე საყიდლად წასულიყვნენ.

ის იყო მოათავეს ლაპარაკი, როცა გურამმა ეჭვით იკითხა:

— ეს ფული აგერ არის, მაგრამ საწოლები სად ვიშოვოთ? იმპორტული ცალკე არ იყიდება. აქაური საწარმოების ავეჯს კი ხალხი ძალიან ემდურის.

— რას ამბობ, გურამ — წამოიძახა ციალამ, — ამბობენ ჩვენმა მეავეჯეებმა ძალიან გააუმჯობესეს ხარისხი, წინანდელთან შედარებაც კი არ შეიძლებაო. გუშინ კოლმეურნეობის მოედანზე სააავეჯო მაღაზიაში შევედი, საწოლები ვნახე, ძალზე მომეწონა. გამყიდველმაც მიქო, იმპორტულს თუ არა სჯობს, არაფრით ჩამორჩებაო.

— ეგრე იყოს, ვნახოთ ერთი შენი მოწონებული საწოლები, მაგრამ კიდევ გეუბნები, რატომღაც გული მეთანაღრება.

მეორე დღეს ცოლ-ქმარი კოლმეურნეობის მოედანზე, პირველ სააავეჯო მაღაზიას ესტუმრნენ. დაათვალიერეს გამოფენილი საქონელი.

— აი, — უთხრა ციალამ ქმარს, — ეს ორი საწოლია გუშინ რომ ვნახე, ხედავ რა ლამაზია.

ცოლ-ქმარმა ერთხანს სინჯეს, მერე ფული გადაიხადეს, საწოლები მანქანაზე დააწყეს და შინ წაიღეს.

ეზოში მანქანის ხმაურზე მეზობლები გამოვიდნენ. დაინახეს თუ არა ციალა, მიხვდნენ, რომ საწოლები მისი იყო, მიულოცეს; ქალიც ყველას მადლობას უხდიდა.

აბა, რა დიდი ამბავია საწოლების შეძენა, მაგრამ ჩვენში კაცს ოდნავი საბაბი მიეცი და ლხინზე უარს იტყვის? იმ დღესაც ასე მოხდა, გაიშალა პატარა სუფრა, მეზობლებმა კიდევ ერთხელ დალოცეს ოჯახი და ყოველივე კეთილი უსურვეს.

დაღამდა; ყველამ დაიძინა. გურამიც ღრმა ძილში იყო, როცა უნებურად მხარი იცვალა. იმავე წუთს რაღაც გრუხუნი გაისმა და შემკრთალ კაცს გამოეღვიძა. პირველად ვერაფერს მიხვდა — სადღაც ბნელში ეგდო და ზევიდან ფიცრები ეყარა, ასე გგონია, ჩამონგრეულ ძელმიწურში მოჰყვაო. ხმაურზე ცოლსაც გაეღვიძა, უნდოდა ქმარს მიშველებოდა, წამომხტარიყო, მაგრამ გაინძრა თუ არა, ახლა აქეთ იგრიალა რაღაცამ და ისიც ფიცრების ქვეშ მოჰყვა.

რაღა დააძინებდათ, თეთრად გაათენეს ის ღამე, ისხდნენ ფიცრებზე და ხმა ვერ ამოეღოთ. დილით დიდხანს ეწვალნენ როგორმე აეწყოთ საწოლები, მაგრამ ვერაფერს გახდნენ და ისევ მაღაზიას მიაშურეს.

— რამ შეგაწუხათ? — მეამიტად ჰკითხა მათ გამყიდველმა.

— გუშინ, აქ თქვენთან საწოლები ვიყიდეთ...

— როგორ, — გაიკვირვა გამყიდველმა — დაიშალა თუ? ასე მალე?

— თქვენ თვითონვე მიხვდით, არა? აბა, ახლა წამობრძანდით, თქვენი თვალით ნახეთ.

— არა, ნახვა რა საჭიროა, ქალბატონო! გვჯერა, როცა მივიღებთ, გამოგიცვლით.

ერთ თვეზე მეტი გავიდა. ვინ იცის რამდენჯერ მიაკითხეს თვარაშვილებმა საქსაშენვაჭრობის პირველ მაღაზიას, მაგრამ ამაოდ...

მაღაზიას უფლება ჰქონდა წუნდებული პროდუქცია საწარმოსათვის დაებრუნებინა და, ამავე დროს, დაეჯარიმებინა კიდეც. ეს არ გააკეთეს.

როცა გურამი დარწმუნდა, რომ მაღაზიის მუშაკთა დაპირებიდან არაფერი გამოდიოდა, მაშინ საწოლების გამკეთებელს — ფანერის ქარხანას მიადგა.

აქ მის მიმართ უფრო მეტი გულისხმიერება გამოიჩინეს. როგორც კი გაიგეს, რომ მათი ნახელავი და ნაოსტატარი საწოლები პირველ ღამესვე დაიშალა, გურამს ერთი სიტყვაც აღარ ათქმევინეს, კაცი გააყოლეს და ადგილზე ნახეს, რომ საწოლებს ყოველმხრივ აგურები, და პატარა ტაბურეტები ჰქონდა შეყენებული. მომხმარებელს ბოდიში მოუხადეს და უთხრეს:

— ჩვენი საწოლები ხალხს საერთოდ მოსწონს. ეს წუნდებული კომპლექტი კი ალბათ შემთხვევით გაგვეპარა და თქვენთან მოხვდა. ცოტა გაწვალებულხართ, მაგრამ გვაპატიეთ. სამაგიეროდ, ისეთ საწოლებს მოგცემთ, რომ ბადალი არ მოეძებნებოდეს.

დანგრეული საწოლები, უფრო სწორად დაშლილი ფიცრები წაიღეს და ახალი მოიტანეს.

მართალია დაგვიანებით, მაგრამ ბოლოს მაინც კაცს ასე გულისხმიერად რომ მოეპყრნენ, ეს კარგია, მაგრამ განა უკეთესი არ იყო წუნდებული პროდუქცია ფაბრიკის ალაყაფის კარებს არ გამოსცილებოდა? განა ისე ძნელი საქმე იყო, ამის თადარიგი თავიდანვე დაეჭირათ? მაშ რისთვის არსებობენ კონტროლიორები?

* * *

დილა იყო. მაღაზიას ავეჯით დატვირთული მანქანები მოადგნენ, მუშებმა მანქანებიდან ტანსაცმლის კარადების ჩამოღება და მაღაზიაში შეტანა დაიწყეს.

მყიდველებიც უკვე ბლომად მოგროვილიყვნენ. ერთი ქალი ჰყვებოდა:

— აი, მოიტანეს, მაგრამ რა ვიცი, ეგენი კი სანდოებია? გუშინ აქ ერთი მაგნაირი კარადა უკან მოიტანა ვიღაც ქალმა. კარადა თოკებით გარდი-გარდმო ისე იყო შეკრული, ასე გეგონებათ, ეშინიათ საითმე გაიქცევაო. თურმე მიიტანა შინ და დაიშალა კიდეც...

ამასობაში მყიდველებმა ახლად მოტანილი საქონლის სინჯვა დაიწყეს.

— დედა, დედა, ნახეთ ერთი, კარი არ იხურება, — წამოიძახა ვიღაცამ. რამდენიმე კაცი ერთად მიაწვა კარს, კარადამ საცოდავი ჭრიალი ასტეხა, მაგრამ კარის დახურვას მაინც არაფერი ეშველა.

— რას წვალობთ, როგორ უნდა დაიხუროს, ღრიჭოებს ვერ ხედავთ? — დაიძახა რომელიღაც მყიდველმა.

ატყდა ერთი კამათი, მითქმა-მოთქმა, აზრთა გაცვლა-გამოცვლა. მალე მაღაზიის უფროსებიც გამოჩნდნენ, თბილმრეწვვაჭრობის სამმართველოს საქონელმცოდნეც მოვიდა. კარადები შეამოწმეს. რვა ცალი ხმარებისათვის უვარგისი აღმოჩნდა, შეადგინეს აქტები და მწარმოებელს — ცხინვალის ხეტყის დასამუშავებელ კომბინატს უხეირო კარადები უკან დაუბრუნეს. ჯარიმაც გადაახდევინეს. წუნდებულ პროდუქციაზე შედგენილი აქტები ამ საწარმოს მიერ გამოშვებულ პროდუქციაზე სხვაც ბევრი ვნახეთ. ეს იყო შარშან.

მაგრამ აქტები და ჯარიმები ეტყობა არა სჭრის. მდგომარეობა წელსაც უცვლელია. ხუთწლედის პირველი წლის ჯერ ორი თვე გავიდა, მაგრამ კომბინატმა უკვე მოასწრო სავაჭრო ორგანიზაციებიდან უკან მიეღო სხვადასხვა ავეჯი, როგორც მოხმარებისათვის უვარგისი.

დავინტერესდით ამ საკითხით, ვესტუმრეთ თბილმრეწვვაჭრობის სამმართველოს საქონელმცოდნეს მ. ჩაჩლეიშვილს. მან რესპუბლიკის სააავეჯო საწარმოების მიერ გამოშვებულ წუნდებულ პროდუქციაზე შედგენილი აქტების მთელი ტომები გადმოიღო. გადავათვალიერეთ, გულით გვინდოდა ერთი საწარმო მაინც აღმოჩენილიყო ისეთი, რომელიც წუნდებულ პროდუქციას არ უშვებდეს, მაგრამ ასეთი საწარმო არ აღმოჩნდა.

"სხვებს რაღა უნდა მოჰკითხო, როცა უვარგის ავეჯს უშვებს თბილისის სააავეჯო საწარმოთა გაერთიანების მთავარი საწარმო „განთიადი“, რომელიც აღჭურვილია უახლესი ტექნიკით. შარშან საწარმოს ხელახლა შესაკეთებლად უკან დაუბრუნდა ტანსაცმლის კარადები და სხვა ავეჯი. ფილიალებმაც წუნის კეთების „გამოცდილება“ ამ საწარმოოდან მიიღეს და ახალი „რეკორდები“ დაამყარეს.

ავეჯის საექსპერიმენტო ფაბრიკა... აქ მართლაც, რომ წუნის კეთების ექსპერიმენტებს აკეთებენ. შარშან ამ საწარმოს უკან დაუბრუნდა შესაკეთებლად სხვადასხვა სახის ავეჯი. სავაჭრო ორგანიზაციებს ჯარიმის სახით საკმაოდ დიდი თანხები გადაუხადეს. მაგრამ, როგორც ეტყობა, აქედან სათანადო დასკვნები ვერ გააკეთეს. კვლავ აგრძელებენ წუნდებული პროდუქციის გამოშვებას. მიმდინარე წლის იანვარში საწარმოს უკან დაუბრუნდა მოხმარებისათვის უვარგისი ოთხი ცალი სავარძელ-საწოლი და ხუთი ცალი ტახტი.

ასევე დგანან წუნისმკეთებელთა მწყობრში სასკოლო ინვენტარის ფაბრიკა, ახალდაბის სააავეჯო საწარმო და ბევრი სხვა. ყველას ვერ ჩამოთვლი!

და აი შედეგიც:

გასულ წელს, მარტო თბილმრეწვვაჭრობის სამმართველომ რესპუბლიკის სააავეჯო საწარმოების მიერ გამოშვებულ წუნდებულ პროდუქციაზე შეადგინა 170 აქტი, მწარმოებლებს უკან დაუბრუნა უვარგისი 56 ათას მანეთისაზე მეტი ავეჯი. რესპუბლიკის სააავეჯო საწარმოებს ჯარიმის სახით გადაახდევინეს 8,500 მანეთზე მეტი თანხა.

ხარისხისათვის ზრუნვა ყველა საწარმოს მოეთხოვება, იგივე ითქმის კერძოდ ავეჯის საწარმოებზე. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ავეჯის ყიდვა მომხმარებელს ყოველთვის არ შეუძლია, ერთხელ რომ იყიდის, იგი მას რამდენიმე წელიწადს უნდა ემსახუროს. საინტერესოა, ამის შესახებ ერთხელ მაინც თუ დაფიქრებულან ავეჯის საწარმოთა ხელმძღვანელები, პირველად პარტიულ ორგანიზაციებს ერთხელ მაინც თუ უმსჯელიათ წუნის მკეთებლებზე?

* * *

დროა ჩვენი მეავეჯეები სერიოზულად დაუფიქრდნენ ამ საკითხებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ოსტატს თავისი თავმოყვარეობა უნდა ჰქონდეს — რათ უნდა სჯობდეს იმპორტული შინგაკეთებულს, აქაურს? არ უნდა დავფიქრდეთ ამაზე? ეგეც არ იყოს, ვთქვათ, გაფორმების, სილამაზის თვალსაზრისით ჯერჯერობით ყველაფერი ისე ვერ გააკეთე, როგორც ამას მომხმარებლის გაზრდილი ესთეტიკური გემოვნება მოითხოვს, მაგრამ ის რაღა უბედურებაა, რომ ეს ნივთები შეკრული არ არის, იშლებიან, კარს ჯერ ვერ დახურავ, დახურავ და ვეღარ გაალებ!

ძველად, ხელოსნურ ჟარგონზე ყოველივე ამას ფინაჩობა ეწოდებოდა. აი, ამ ფინაჩობას ჩვენ სას-

ტიკი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ; ჩვენი ოსტატები მუდამ სახელგანთქმულნი იყვნენ და შთამომავლებმა უნდა დაამტკიცონ, რომ ისინი წინაპართა ღირსეული მემკვიდრეები არიან.

• • •

ახლა ორიოდე სიტყვა ფეხსაცმელზე. ამ საქმის ოსტატებსაც უფრო მეტი მოეთხოვებათ.

ვილაპარაკოთ აქაც ფაქტების ენით.

თბილისის ფეხსაცმელის მეთერთმეტე მაღაზიაში მოქალაქე ო. ჯანელიძე მივიდა, ქაღალდში გახვეული ფეხსაცმელი გამყიდველს მიაწოდა და უთხრა:

— აქ ვიყიდე გუშინ, მიიღეთ უკან, ერთხელ ჩაიცვა ბავშვმა და მაშინვე დაიშალა.

— როგორ თუ დაიშალა! — გაიკვირვა გამყიდველმა.

— აი, დახედეთ და დარწმუნდებით, — ცხარობდა მოქალაქე — თქვენ მაინც რატომ ღებულობთ ასეთ საქონელს? ბოლოს და ბოლოს, მასალებს რატომ აფუჭებენ?

ბოლოს მომხმარებელმა კატეგორიულად მოითხოვა ფული დამიბრუნეთო.

— არა, ფულს ახლა ვერ დაგიბრუნებთ, აქტი უნდა შევადგინოთ და ფაბრიკას გავუგზავნოთ. როცა ფეხსაცმელს გამოგვიცვლიან, ახალს მოგცემთ.

— მერე ამდენ ხანს ბავშვი ფეხშიშველი ვატარო?

მომხმარებელი დაამშვიდეს და სამი დღის შემდეგ დაიბარეს.

დაგვაინტერესა ამ საქმემ. ჩვენ დიდხანს ვიტრიალეთ მაღაზიაში. მყიდველი ბევრი მოდიოდა, ათვალიერებდა თაროებზე დაწყობილ სხვადასხვა მოდელისა და ფერის ფეხსაცმელს, ბევრი მათგანი ხელშიც დიდხანს ატრიალებდა, მაგრამ ყიდვას ვერავინ ბედავდა. ყველა ერთსა და იმავეს ამბობდა:

— გარეგნულად დასაწუნი არ არის, იმპორტულს თითქოს არაფრით ჩამორჩება, მაგრამ რათ გინდა, გამძლეობა არა აქვს. ჩაიცვამ და უმალ დაილრიჯება, დაიშლება, ჰკარგავს ფორმას, სახეს...

გამყიდველს ვკითხეთ: — იყო შემთხვევები, როცა ფაბრიკას ფეხსაცმელი უკან დაუბრუნეთ?

— ეს ერთი შემთხვევა რომ იყოს, რა უშავს! უარესს გეტყვით: თბილისის პირველი ფაბრიკის ფეხსაცმელები ჩაუცმელადაც კი იშლება.

გამყიდველმა ქალიშვილმა თაროდან რამდენიმე წყვილი ფეხსაცმელი გადმოიღო და გვიჩვენა, რომლებსაც ლანჩი სანახევროდ ამძვრალი ჰქონდა.

ფეხსაცმლის უკან დაბრუნების შემთხვევებიც ბევრია აღრიცხული ამ მაღაზიაში, მაგრამ ეს კიდევ არაფერი. საქმე ის არის, რომ მაღაზიის თაროები და საწყობი გავსებულია უხარისხო ფეხსაცმლით. თებერვალში გეგმით მაღაზიას 12 ათასი მანეთის პროდუქცია უნდა გაეყიდა, მის საწყობში და თაროებზე კი 71 ათასი მანეთზე მეტი ღირებულების ფეხსაცმელი ეწყო, ე. ი. მაღაზიაში ზენორმული ნაშთი შეადგენდა 45 ათას მანეთს. აქედან ფეხსაცმლის დიდი ნაწილი მოდიდან გამოსულია, გარეგნული ფორმა დაკარგული აქვს.

როცა ამ მაღაზიის სავალალო მდგომარეობას გავეცანით, დავინტერესდით და სხვებსაც ვესტუმრეთ. თითქმის ყველგან მდგომარეობა ერთნაირია, მაღაზიის თაროები და საწყობები გადატვირთულია მოდიდან გამოსული და ფორმადაკარგული ფეხსაცმლით. ზოგან ისეა გამოტენილი მაღაზია, რომ ახალი საქონლის მისაღებად ადგილი აღარა აქვთ.

ახლა ორიოდე ციფრი რომლებიც თავისთავად მეტყველებენ: 1965 წელს თბილფეხსაცმელვაჭრობის სამმართველომ მიღებული ფეხსაცმლის საერთო რაოდენობიდან შეამოწმა 205.931 წყვილი, აქედან მაღალი ხარისხიდან დაბალ ხარისხში გადატანილია 24,975 წყვილი, ხოლო 673 წყვილი როგორც მოხმარებისათვის უვარგისი, საწარმოებს უკან დაუბრუნდათ.

რესპუბლიკის საწარმოებს ჯარიმის სახით გადაახდევინეს 14 ათას მანეთზე მეტი. შემოწმების მასალებიდან ისიც გამოირკვა, რომ 1965 წელს, წინა წელთან შედარებით, წუნდებული პროდუქციის პროცენტი გაიზარდა. თუ 1964 წელს შემოწმებული ფეხსაცმლიდან წუნდებული აღმოჩნდა 8,4 პროცენტი, 1965 წელს წუნის პროცენტმა 12,6 პროცენტს მიაღწია.

წუნდებული პროდუქციის რაოდენობა და ჯარიმების თანხა, ცხადია, რამდენჯერმე მეტი იქნება, თუ ზემოთქმულის გარდა გავიხსენებთ ყველა ბაზისა და სავაჭრო ორგანიზაციის მიერ წარდგენილ პრეტენზიებს.

მაღაზიებში ვნახეთ გამწარებული მომხმარებლები, რომლებიც კვირაობით დადიან და ეხვეწებიან გამყიდველებს გამოუცვალონ წუნდებული ფეხსაცმელი ან დაუბრუნონ ფული.

ჩვენ ხშირად გულაყვედრებთ მომხმარებლებს — იმპორტული საქონელი, უხეიროც რომ იყოს, თვალდახუჭული ყიდულობთ, ჩვენსას კი კარგიც რომ იყოს, ზედ არ უყურებთო. ხშირ შემთხვევაში ეს მართალია, მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის ფეხსაცმლის საწარმოებმა თავიანთ საფაბრიკო მარკას ისე გაუტეხეს სახელი, რომ ისინი მომხმარებლის გულს ძნელად მოიგებენ. ამაზე საწარმოთა ხელმძღვანელებმა მეტი უნდა იფიქრონ, იზრუნონ.

როცა წუნდებულ პროდუქციაზე შედგენილი აქტები გადავათვალიერეთ, ჩვენ დავრწმუნდით, რომ ამ საქმეში სცოდავს რესპუბლიკის ფეხსაცმლის ყველა ფაბრიკა. მაგრამ წუნის კეთებაში მაინც პირველია თბილისის ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკა, რომელიც ყველაზე უკეთესი მოწყობილობით არის აღჭურვილი.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ წუნი ფაბრიკის კედლებს არ გასცილდეს. მაღაზიებს ისეთი ფეხსაცმელი უნდა მივაწოდოთ, რომ თაროებზე კი არ გახუნდეს და დაიშალოს, მომხმარებელმა სიამოვნებით იყიდოს.

ჩვენ ყველა შესაძლებლობა გვაქვს, რათა ჩვენი ავეჯი, ჩვენი ფეხსაცმელი საუკეთესო იყოს; ეს საქმე დროულად უნდა მოგვარდეს, ქაღალდის და ხის დამმუშავებელი, აგრეთვე მსუბუქი მრეწველობის სამინისტროებმა ამ საქმეში თავიანთი გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვან.

ხოლო იმ ფაბრიკების მუშაკებმა, რომელთაც პირველი ადგილები უჭირავთ წუნის კეთების მხრივ, უნდა დაიხსომონ რომ ეს ძლიერ ცუდი, ძლიერ არასახარბიელო პირველობაა!

**ზაქარია ჯამასპიშვილი**

# როცა დედა შინ არის

ფოტო ო. თურქიასი



ქართველი მომღერალი ქალის, მოსკოვის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალის ლაურეატის ნანი ბრეგვაძის სახელი კარგად არის ცნობილი საესტრადო მუსიკის მოყვარულთათვის. რბილმა, გულში ჩამწვდომმა ხმამ მსახიობს დიდი პოპულარობა მოუხვეჭა არა მარტო ჩვენს სამშობლოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

მეტად პოპულარული „სიმღერა თბილისზე" (კომპოზიტორი რევაზ ლაღიძე) ფრანგებს პირველად ფრანგმა მომღერალმა კოლეტ რენარმა გააცნო. მერე კი, პარიზელ მაყურებლებსა და მსმენელებს, ჩვენი ქალაქის სილამაზეზე და სიტურფეზე, ნანი ბრეგვაძემ უამბო სიმღერის ენით; სულ რამდენიმე თვის წინ კი ნანი ბრეგვაძე წარსდგა კანადელ მაყურებელთა წინაშე.

ასე მიდიან დღეები — ნანი ხან ლენინგრადშია გასტროლებზე, ხან ნოვოსიბირსკში თუ რიგაში, შვეციაში თუ საფრანგეთში. თბილისელებს ენატრებათ კიდეც თავიანთი თანამემამულის სიმღერა, მისი ხმის გაგონება.

ყველაზე მეტად ნანი ბრეგვაძე პატარა ეკას ენატრება; როცა დედა თვეობით შინ არ არის, ეკა მოწყენილია, თითქმის არც ეკარება ინსტრუმენტს. მაგრამ აი, დედა ჩამოვიდა. ეკა გამხიარულდა, დედა-შვილი როიალს მიჯდომია. დედა უკრავს. მღერიან ორივენი. ეკას მშვენიერი ხმა აქვს, მეორე ნანი ბრეგვაძე გაიზრდებაო — უწინასწარმეტყველებენ მეგობრები დედას.

**ქ. ნანეიშვილი**



# ქუდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია რურუა

მხატვარი თ. სამსონაძე

ის — პროფესორი.

მე — ასპირანტი.

ეს, როგორც იტყვიან ხოლმე ოფიციალურად. ისე კი ნამდვილი მეგობრები ვართ.

თავათაც მიკვირს, როდის და როგორ დავუახლოვდი ასე ჩემს ხელმძღვანელს. ზედმიწევნით კარგად ვიცნობ, ვიცი მისი მეცნიერული ზრახვები, მისი მიწიერი გატაცებანი, ისიც კი, რომ ძალზე უყვარს სოფლური პური, გუდის ყველი და ქორფა ტარხუნა. ახლაც, ისე ვატყობ, სანაპიროთი იმიტომ მივდივართ, გადახურულ ბაზარში შეიაროს, ცოტა დახლებს შორის იხეტიალოს, გლეხკაცებს გამოელაპარაკოს, მიწის ბარაქის სურნელი იყნოსოს.

ლაზერზე ვსაუბრობთ. ლაზერი მისი გატაცების საგანია. უკვე ჩემიც.

— მე ყოველთვის მჯეროდა სხივთა სასწაულის, — მეუბნება პროფესორი, — ლალის კრისტალიდან გამოსხივებული ჯადოსნური კონა უკვე ახდენს სასწაულებს მიწაზე. ყველაფერი ეს დასაწყისია. ჩემი ღრმა რწმენით, სულ მალე მისი ნესტარი ცოცხალ უჯრედშიც შეაღწევს და ახსნის სიცოცხლის საიდუმლოს. მალე, ალბათ, შორეულ გალაქტიკებსაც გავესაუბრებით. ხომ წაიკითხე აკადემიის...

რა თავხედობაა! ვილაცამ ჩემს პროფესორს თავზე კეპი ააცალა, მოულოდნელად და ტლანქად. აღშფოთება გაკვირვებით შემეცვალა, როცა მის გაჭაღარავებულ თავზე დაკოსებული კახური ქუდი დავინახე.

მინდოდა გამოვნთებოდი იმას, ვინც ეს ჩაიდინა. მაგრამ პროფესორმა შემაჩერა. მასთან ერთად მხოლოდ თვალი გავაყოლე ვიღაც გლეხკაცს, ჩემი პროფესორივით გაჭაღარავებულს, მოსახვევთან გაჩერებული მანქანისაკენ რომ გარბოდა. იგი მარდად ავიდა ხალხით სავსე ძარაზე და ნადავლი ქუდი დაგვიქნია:

— არც ახლა ჩამოხვალ? სირცხვილია, დიტო, სირცხვილი!

პროფესორმა ნაბდის ქუდი მოიხადა და მიაძახა:

— ამ ზაფხულს, ზაქრო, ამ ზაფხულს! არც შენ გეკადრება ძმაკაცის დავიწყება!

მანქანა სწრაფად თვალს მიეფარა.

პროფესორმა ქუდი ჰაერში შეაგდო, მარჯვედ დაიჭირა და ასევე მარჯვედ თავზე მოიგდო.

ამ შეხვედრით ნასიამოვნები და გახარებული ჩანდა.

ცხადია, საუბრის თემაც შეიცვალა.

— დნესტრის გადასასვლელზე რომ დავიჭერი, — დაიწყო პროფესორმა, — პირდაპირ თბილისში გამომისტუმრეს. სანამ ყავარჯენს გადავაგდებდი, ომიც დამთავრდა.

დრო უქმად არ დამიკარგავს. როგორც კი ცოტათი გამოვჯობინდი, წიგნები მოვატანინე. განვლილი ორი კურსის მასალა ჰოსპიტალშივე გავიხსენე და ისევ პოლიტექნიკურ ინსტიტუტს დავუბრუნდი.

სტუდენტს, ცნობილი ამბავია, ყოველთვის რაღაც აკლია, მით უმეტეს მაშინ. სტუდენტიც გახლდით და კენტად დარჩენილიც. ოთხი ძმიდან მარტო მე დავბრუნდი. დედა ცოცხალი არ დამხვედრია, ჩვენს დარდს მოენელებინა.

თბილისელი ნათესავები აღარ შევაწუხე. ისედაც ყველას ჰყოფნიდა თავისი გაჭირვება-საზრუნავი. ერთ მარტოხელა ქალთან დავდექი ვეძისის უბანში. მაშინ იქ რამდენიმე ქოხმახი იდგა, თბილისელებს პატარა ყანები და ბოსტნები ჰქონდათ. სტიპენდიას ავიღებდი თუ არა, უკანასკნელ კაპიკამდე ვაბარებდი კეთილ დედაბერს. ბინის ქირადაც მითვლიდა და სახარჯოდაც. მაინც რას გამწვდებოდა, მგელივით ვაუკაცს!

ერთ დღეს, ლექციებიდან რომ დავბრუნდი, კედელზე აღარ დამხვდა ოთახის ერთადერთი განძი — ძველებური პატარა ფარდაგი. ყველაფერს მაშინ მივხვდი, როცა დედაბერმა, ვითომდა სხვათა შორის, მკითხა — შვილო ხომ არ იცი, კახეთის მატარებელი რა დროს გადისო. წავალ, გავიგებ-მეთქი, ჩემი მაზარა წავიღე და პირდაპირ ვაგზალში გავედი.

პირველად აღმოვჩნდი ამ მხარეში, ისიც ბაზრობაზე.

ყველაზე მეტად ხორბალსა და სიმინდს ესევა ხალხი. გაუბედავად აუვლჩავუვლი ყაფანს, ყურს ვუგდებ სავაჭრო გარიგებებს. ფასი მაინც ვერ დავადგინე. ფულზე არ ყიდიან იმდენად. უფრო ცვლიან. საბოლოო ვარაუდით, სამი-ოთხი ფუთი უნდა მომცენ ჩემს ახალ, ოფიცრულ მაზარაში.

არასოდეს არაფერი გამეყიდა. ყიდვაც კი მიჭირს. ამ ხნის კაცს ჯერ ცოლის მოსაწონი ვერაფერი მიყიდია. ამას წინათ კიევში, სიმპოზიუმზე რომ ვიყავი, მაშინ შიფონის ძვირფასი საკაბეები ვუყიდე საქალებოს. სასაცილოდ ამიგდეს. ცოლმა ცალკე, ქალიშვილებმა ცალკე — რაღაც ჩითი მითხრეს, ის უნდა გეყიდაო. ჩითებზე გიუდებიან პირდაპირ, ასე ცხონებული ბებიაჩემი აკვირინე არ გიუდებოდა.

ერთი სიტყვით, რაღა გავაგრძელო, გადავიკიდე მკლავზე მაზარა და დავდივარ წინ და უკან. ასეთი უხერხულობა ჩემს სიცოცხლეში არ გამომიცდია. უცნობ დაბაში კი ვარ, მაგრამ სულ იმის შიში მაქვს, ვინმე ნაცნობი არ შემეფეთოს, ყოველი შემთხვევისათვის, ჩემი ჭკუით, ისეთ სახეს ვიღებ, თითქოს უბრალო გამვლელი ვარ, დამცხა და მეტი არაფერი. ბავშვი არ იყო! ვის მოატყუებ. თან მარტია, ასეთ არეულ დარში რომელი დალხინებული კაცი გაიხდის მაზარას.

ხამ კაცს ისედაც შეეტყობა ადვილად. მეც შემატყვეს.

— ჰყიდი? — მოვიდა ერთი გრძორა ვინმე და ისე, რომ პასუხსაც არ დალოდებია, მაზარა ხელიდან გამომგლიჯა.—რა მოგცე?

ფასი ვერ ვუთხარი. მაშინ თვითონ მითხრა.

— რას ამბობ! — შევყვირე გაოცებულმა. — ფუთ სიმინდად?!

მეტი არ ღირსო, მითხრა გულგრილად და გამშორდა. შემდეგ, ვხედავ, ვილაცეები გაიხმო, რაღაცას ეჩურჩულება იმათ.

ძველ მზვერავს რა გამომეპარება.

ერთს მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე.

ყველანი პირველად შეძლეულ ფასზე დგანან. ჯერ უფრო ნაკლებს მეტყვიან, შემდეგ უმატებენ და გოდორას მიერ შემოძლეული ფასიდან ფეხს აღარ იცვლიან.

ვგრძნობ ვისი ხრიკებიცაა, მაგრამ რას გავაწყობ. მატარებლამდე საათიც არ არის დარჩენილი. თანაც ისე მშია, ლამის გული შემიღონდეს. ჯანაბას-მეთქი,

გადავწყვიტე, მენანება ჩემი ერთგული, ნატყვიარი მაზარა. არა, ყოველ შემთხვევაში იმ გოდორას მაინც არ მივყიდი.

—წაიღე! — ვუთხარი უკანასკნელად მოსულს, ამის თქმა და გოდორა ქარივით წამოვიდა, მაზარა გამომტაცა და ფული შემომაჩეჩა. იქვე გაშალა მაზარა, ხარბად ათვალიერებდა.

სისხლი თავში ამივარდა. მკლავი უნებურად დამეძაგრა. ის იყო, სახეში უნდა მეთხლიშა, რომ გავიგონე:

— აბა, ხელი უშვი!

ჩემსკენ გადმოფრიალებულ მაზარას მკლავი შევაგებე.

— ეგ ფული კი უკან დაუბრუნე! — მესმის ისევ. მთქმელს კარგად ვერ ვარჩევ. მაინც ვემორჩილები. ისეთი მბრძანებლური და სამართლიანია ეს ხმა.

— თქვენ კი, დაღლარებო, ახლავე მოუსვით აქედან! ვისაც ეგ არ დაჭირვებია და არ სცმია, ფასი საიდან ეცოდინება.

ყველა დაიფერთხა.

მხოლოდ ის ერთი დგას ჩემს წინ. მაზარაში. მაღალ-მაღალი, ძვალმსხვილი ბეჭებგაშლილი, რკინისფერსახიანი.

— წავიდეთ! — მითხრა მან წარბგაუხსნელადვე და ისე შებრუნდა, ჩემსკენ არც გამოუხედავს.

გავიარეთ ბაზარი, მიხვეულ-მოხვეული ვიწრო ქუჩები.

უცებ ჩემს თავზე მომივიდა გული, რომ მივყვები, სად მივყვები ამ კაცს! რომელი ჩემი ჭირისუფალია და უფროსი. ან რა უფლება აქვს ბრძანებით მელაპარაკოს. ვინმე ვიგინდარა ხომ არ ვგონივარ!

— სად მიგყევარ, მეგობარო?

— წამოდით!

სიმწრის ოფლმა დამასხა. რაღაცნაირი უმწეობა ვიგრძენი ამ კაცის წინაშე. ვინმეს ჩემთვის სპეკულანტობაც რომ დაებრალებინა, ალბათ, ენას ვერ მოვაბრუნებდი.

— ნინო, გამოიხედე! — დაიძახა უცნობმა ბოლოს და ჭიშკარი შეაღო, — სტუმარი მოგიყვანე, დახვედრა შენზეა.

დიდი ხანი იყო სტუმრობაც დავიწყებული მქონდა და მასპინძლობაც. ამ ოჯახმა ყველაფერი გამახსენა, ბევრი მინელებული გრძნობა გამიღვივა. მონატრებული სითბო — ალერსის პოვნამ დარდი და ტკივილიც ამიშალა. და ეს ტკივილი რომ გამეყუჩებინა, ვსვამდი. ვსვამდი, რათა დამვიწყებოდა ყველა და ყველაფერი. ჩავიძირე რაღაც ტკივილის შემცველ ნეტარებაში. მაგრამ იმასაც ვგრძნობდი, ვიღაცის კეთილი ხელი დაუსრულებლად რომ დამტრიალებდა და მესიყვარულებოდა.

ვხვდებოდი, გულუხვ მასპინძელს ჩემთან რაღაც რომ აკავშირებდა.

მაინც რა?!

პირველად ვხედავდი. ერთხელ, მხოლოდ ერთხელ, მეცნაურა თითქოს, მაგრამ მაშინვე გავიფიქრე — უთუოდ ვიღაცას ვამსგავსებ-მეთქი.

თვითონაც მკითხა — ქერჩში თბილი, ყურებიანი ქუდი ხომ არავისთვის გითხოვებიაო.

მგონი კი!

ყირიმში რომ დავიჭერი პირველად და ქერჩიდან გადმოგვიყვანეს, შევსება შემოგვხვდა სრუტეზე. ქართული პოლკი იყო.

— ბიჭებო! — დაიძახა ვიღაცამ რიგებიდან. — ქუდი გექნებათ, ყურებიანი ქუდი!

არავინ გამოხმაურებია, მაგრამ დავინახე ვიღაცას ჯარისკაცის პილოტურა რომ გადმოუგდო. იგი ჩემს ფურგუნში ჩამოვარდა. არც დავფიქრებულვარ, თბილი, ყურებიანი ქუდი თავიდან მოვიგლიჯე და მთელი ღონით გადავიქნიე.

— იცოცხლე, ძმაო! თუ ცოცხალი დავრჩი... — მეტი არაფერი გამიგონია. არც იმისი სახე დამინახავს, ვინც ამას ამბობდა.

ნუთუ ის არის?!

— არა, ქერჩში საერთოდ არ ვყოფილვარ! — რატომღაც ვიცრუე მე.

კიდევ ერთხელ ჩამეძინა, მაგრამ როცა გავიღვიძე, უკვე სხვაგან ვიყავი. ერთბაშად ვერც კი მივხვდი, სად.

— მოვედით, თბილისია! — მანჯღრევს კონდუქტორი.

ვდგები. მაზარას გზადაგზა მოვბერტყავ და დაცარიელებული ვაგონის გასასვლელისაკენ მივემართები.

— ამეებს ვის უტოვებ, ძმობილო! — მესმის უცებ.

ვხედავ, გამყოლმა ქვემოდან მძიმე ტომარა გამოათრია. შემდეგ ხურჯინი და კალათაც მიაყოლა.

— ნახე, ხომ ყველაფერია!

—რა არის ეს? — ვეკითხები.

— აბა რა ვიცი. შენი და ზაქარიას ანგარიში მე საიდან მეცოდინება.

ანგარიშიო!

არ მომეწონა ეს სიტყვა. მაგრამ ამ კაცმა, მართლაც, საიდან უნდა იცოდეს!

— მართალი გითხრათ, — მივუბრუნდი პროფესორს, — ვერც მე გავიგე ბოლომდე. იცის თუ არა ზაქარიამ ქუდის ამბავი?

— მგონი, არა. თუმცა დანამდვილებით ვერ გეტყვი. იქნებ კარგადაც იცის. მაგრამ არ იმჩნევს. იქნებ ჩემს ქუდებზედაც ამიტომ ნადირობს, — ჩაიცინა პროფესორმა და შემდეგ სერიოზულად დაუმატა, — არა, ამ ზაფხულს ნამდვილად ავალ. გინდა, ერთად ავიდეთ. კარგად უნდა გაგაცნო ეგ გულბარაქიანი!





# ლექსები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ლეონიძე



## მამა

იყავი რკინა,
ვერ გაკრთობდა სიკვდილი მკაცრი,
კაცი იყავი გულკეთილი,
კაცური კაცი.

ახლა კი მიწას
ბლუჯა-ბლუჯად, ზორბა პეშვებით
მკერდზე გაყრიდნენ ხევსურები —
ჯმუხა ბიჭები,
დაგმარხეს,
მერე შემოგავლეს რკინის მესერი
და სავსე თასებს მიაშურეს
მგლის ნაბიჯებით.

ასე დამშორდი სიმამაცე,
სიბრძნე ოჯახის,
თან გაიყოლე
ჯავრად ლექსი დაუწერელი,
ქარი ახშობდა
გამწარებულ ქალთა მოძახილს
და ბნელ ღამეში
ხარხარებდა წერა-მწერელი...
შენ ტკბილო კაცო,
მომთმენო და ჭირთა ამტანო,
ფარო და ხმალო
ხევსურეთის მთათა და ხევთა,
მითხარ სახსოვრად
ლექსზე კარგი რა გაგატანო,
თვითონ სიცოცხლე?
არ ისურვებ,
ამასაც ვხედავ.



## ქობულეთი, მზე და ფიჭვნარი

აბა, აქ როგორ არ გაიხარებ,
აბა, აქ როგორ არ ამღერდები,
გადაკარგულა ნისლი მრისხანე,
ელვისმათრახა შავი მხედრებით.

ქვიშაზე როკავს სხივების წყება,
ცას მოხეთქილი ვერცხლის დინება,
აქ მშვიდი ტალღა ჩემ ფეხთან
წვება
და ემზადება დასაძინებლად.

და მაინც სჭარბობს სპილენძის
ფერი,
ფერი ბეჭების,
მხრების,
მკლავების,
ადამიანი ზღვას ისე შვენის,
რომ პლაჟი არის ზღვის
ვარსკვლავეთი.

თავაწეული დგანან ფიჭვები,
მოჯარებულნ ყველა უკლებლივ
და იმათ ჩრდილში ისე ვიჭრებით,
როგორც მტრის რაზმში
მამელუკები.

ირგვლივ ხშირდება ჩურჩული ხეთა,
მიმოზას ბუჩქი ჭორის მთესავი,
მომაძებნინებს ჩემს წილაბედას
და სიყვარული დამკრავს მზესავით.

აბა აქ როგორ არ გაიხარებ.
აბა აქ როგორ არ ამღერდები,
გადაკარგულა წვიმა მრისხანე,
შავჩოხიანი ნისლის მხედრებით.



## ასე მასწავლეს

სიცოცხლეს ნურვინ დამესესხება,
ის მშობელ მიწას ემსახურება,
ასე მასწავლეს გმირმა მესხებმა,
ასე მასწავლეს თვით ხევსურებმა.
ასე მავალებს სხივების ჩქერი,
მაღალი ზეცის გადანათება,
და თუ მოვკვდები, სიცოცხლე ჩემი
სამშობლოს ღიმილს შეემატება.

მე სიყვარულით ფრთები მესხმება,
სიყვარულია ჩემი ცხოვრება,
ის დაიღვრება მთებში ლექსებად,
უმღერებს დღეთა გაცისკროვნებას.
მე სიყვარულის მათრობს ალმური,
სანთლად მინთია მისი ხატება
და თუ მოვკვდები, ეს სიყვარულიც
მამულის ნათელს შეემატება.

ფოტო გ. დადვაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა



წერილი დედას.



ქსანზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუმინეთში

ბრაშოვი — შუასაუკუნეების საინტერესო ძეგლების ქალაქი.





კურორტი მამაია. სკულპტურა ხასტუმროს შესასვლელთან.



მამაია. კურორტის საერთო ხედი.



მამაია. ტურისტული კლუბის შენობა.



ბრაშოვი. ერთ-ერთი ქუჩა.



რიშნოვი — შუასაუკუნეების დროინდელი ციხე-სიმაგრე.

ეს ფერადი ფოტო-სურათები რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში მოგზაურობის დროს მიღებული დიდი შთაბეჭდილებების პატარა ანარეკლია. სამმა საბჭოთა არქიტექტორმა, — ვასილ პეტროვმა (ლენინგრადი), ოლეგ გორიაჩევმა (მოსკოვი) და ამ ფოტოების ავტორმა — რუმინელი კოლეგების მიწვევით მოვიარეთ მეგობრული ქვეყნის რამდენიმე ქალაქი, ახალმშენებლობები, ისტორიული ძეგლები; გავეცანით საპროექტოების მუშაობას, რუმინეთის არქიტექტორთა კავშირის საქმიანობას, მუზეუმებს (მათ შორის მუზეუმს ღია ცის ქვეშ — „სოფლის მუზეუმს“), თეატრალურ დადგმებს, სწავლების მეთოდიკას არქიტექტურის ინსტიტუტში; თქვენ წარმოიდგინეთ, ფეხბურთის მატჩზეც კი ვიყავით — მილანის „ინტერნაციონალემ“ მოუგო ბუქარესტის „დინამოს“ 1:0, ევროპის ჩემპიონთა თასზე.

ჩვენი მარშრუტი მეტად გონივრულად იყო შედგენილი. დედაქალაქისა და მის მიდამოებში მოგზაურობის გარდა, ვიყავით: ბრაშოვში — შუა საუკუნეების ძეგლებით აღსავსე ქალაქში; გალაცში — აქ ვნახეთ თანამედროვე საცხოვრებელი მიკრორაიონების შესანიშნავი ნიმუშები; კონსტანცაში — თანამედროვე საპორტო ქალაქში; მის მახლობლად განლაგებულ მამაიაში, მანგალიაში, ჩრდილოეთ და სამხრეთ ეფორიაში, გავეცანით თანამედროვე საკურორტო მშენებლობის ჭეშმარიტად ჩინებულ მაგალითებს.

ჩემთვის სასიამოვნო იყო მონახულება იმ ადგილებისა, რომლებიც დაკავშირებულია საუკუნეების მანძილზე რუმინელი და ქართველი ხალხების მეგობრობასა და თანამშრომლობასთან.

ყველაფერი, რაც აქ ვნახე და განვიცადე, უფრო ვრცელი საუბრის საგანია. ეს ფოტოები კი მხოლოდ მადლობისა და ყურადღების ნიშანია რუმინელი კოლეგებისადმი. თავიანთი უშუალო სტუმართმოყვარეობით მათ საშუალება მომცეს მე და ჩემს თანამგზავრებს არა მარტო გვენახა იქაურობა, არამედ შეძლეს სამუდამოდ აღებეჭდათ ჩვენს მეხსიერებაში რუმინეთის მიწა-წყლის სურნელი და რუმინელი ხალხის სითბო.

სიმონ კინწურაშვილი
არქიტექტორი.

სინაი. XIX საუკუნის ფეოდალური სასახლე.



ელექტრონული ბიბლიოთეკა

ბუქარესტი. ცენტრალური მოედანი.



ბუქარესტი.
ანთიმოზ ივერიელის
ეკლესიის კარები.



ბრაშოვი.
ძველი ქუჩა.




ეროვნული ბიბლიოთეკა

მოცეკვავე ქალები.

ფოტო ბ. დადვაძისა

ჩა ხედვა მსოფლიოში

# ეპისკოპოსები შენდობას ითხოვენ

ამ ცოტა ხნის წინათ, დასავლეთ-გერმანულმა პრესამ მთელი ალიაქოთი ატეხა. გაზეთებში გამოჩნდა სერია სტატიებისა, რომლებიც მყვირალა სათაურებით აუწყებდნენ მკითხველებს პოლონეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობაში „გარდატეხის“, „ისტორიული შემობრუნების“ და განსაცვიფრებელი „შემრიგებლური ქესტის“ შესახებ. საკვირველი ის იყო, რომ ამ ხმაურში ყველაზე უფრო სწორედ ის გაზეთები იჩენდნენ ენთუზიაზმს, რომლებსაც მანამდე კრინტიც არ დაუძრავთ პოლონეთთან ურთიერთობის მშვიდობიან მოწესრიგებაზე. პირიქით, ისინი მხარს უჭერდნენ რევანშისტულ მოთხოვნებს „1937 წლის საზღვრების“ აღდგენის შესახებ, აქეზებდნენ ანტიპოლონურ გამოხდომებს.

ახლა კი, დახეთ საოცრებას, მათ მოულოდნელად შეცვალეს გეზი და ერთბაშად იწყეს მეზობელი სახელმწიფოსათვის გუნდრუკის კმევა.

თურმე ნუ იტყვით და ასეთი „შემობრუნების“ მიზეზი გამხდარა რომის მსოფლიო საეკლესიო კრების მონაწილე პოლონელი ეპისკოპოსების წერილი, რომელიც მათ გერმანელ ეპისკოპოსებს გაუგზავნეს — გვეწვიეთ და მონაწილეობა მიიღეთ პოლონეთის ათასი წლისთავის გამო მოწყობილ საეკლესიო დღესასწაულშიო.

წერილის პირველი ნაწილი, რომელსაც მთელი ტექსტის თითქმის ორი მესამედი უჭირავს, შესდგება პოლონეთში ქრისტიანობის ათასი წლისთავისა და პოლონეთ-გერმანიის ურთიერთობისადმი მიძღვნილი ფართო ისტორიული მიმოხილვისაგან.

ისტორია, განსაკუთრებით შუა საუკუნეების ისტორია, წერილის ავტორების განცხადებით, წარმოადგენდა მხოლოდ მისიონერული და სამოციქულო მოღვაწეობის ისტორიას, ხოლო საერთაშორისო ურთიერთობა — „წმინდათა“ და „ნეტართა“ საქმიანობას, რომლებიც გამოყვანილნი არიან „ხალხთა შორის ხიდების“ თითქმის ერთადერთ „მშენებლებად“.

წერილის მეორე ნაწილში, სხვა ყველაფერთან ერთად, მოხსენიებულია ჰიტლერული ოკუპაციის წლებში პოლონელი ხალხის მიერ გაღებული უდიდესი მსხვერპლი და დანაკარგი, განსაკუთრებით მოხსენიებულია ის დევნა, რომელსაც განიცდიდნენ აქ რელიგია და კათოლიკე სულიერი მამები. და ყოველივე ამის შემდეგ იქვე პოლონელი ეპისკოპოსები სასოებით შეჰღაღადებენ თავიანთ გერმანელ კოლეგებს.

„ნუ გვიწყენთ, ძვირფასო გერმანელო ძმებო, იმას, რაც ჩვენი ათასწლიანი ისტორიის უკანასკნელ პერიოდში მოხდა. ჩვენ იმდენად ბრალს არ ვდებთ, რამდენადაც თავს ვიმართლებთ“.

წერილის დასკვნითი ნაწილი კი იუწყება:

„ამ ქრისტიანული და, ამასთან, ერთობ ჰუმანური განწყობით გიწვდით ხელს მსოფლიო კრების მერხებიდან. ჩვენ მოგიტევებთ და ჩვენსავე მხრივ გთხოვთ მოტევებას“.

სწორედ ამ სიტყვებს შეხვდნენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ასეთი ენთუზიაზმით. ეს მოსალოდნელიც იყო. დასავლეთ გერმანული პრესა, უპირველეს ყოვლისა, დაინტერესდა წერილის პოლიტიკური შინაარსით და ხალისით ჩაეჭიდა ყველა მის ფორმულირებას. ისინი ხომ ესოდენ გამოსადეგნი არიან ანტიპოლონური რევანშისტული პროპაგანდისათვის! აი ცალკეული მარგალიტები დასავლეთ გერმანული გაზეთებიდან:

გაზეთი „კელნიშე რუნდშაუ“: „პოლონელი ეპისკოპოსების მიმართვიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ პოლონეთ-გერმანიის საზღვრის შესახებ ჯერ კიდევ არ თქმულა უკანასკნელი სიტყვა“.

გაზეთი „გენერალ-ანცეიგერი“: „ამ მეტად კეთილშობილურ დოკუმენტში ჟღერენ ისეთი ინტონაციები, რომლის მსგავსი უკვე მრავალი ათეული წლის განმავლობაში არ მოგვისმენია პოლონელებისაგან. ეპისკოპოსები თხოვენ გერმანელებს მოტევებას ჩადენილი უკანონობისათვის და თავის მხრივ თვითონაც მოუტევებენ“.

პოლიტიკური კომენტატორები ცნობისმოყვარეობით ელოდნენ გერმანელი ეპისკოპოსების პასუხს. მათ ეგონათ, რომ გერმანელი ეპისკოპოსებიც, თავიანთი პოლონელი კოლეგების მსგავსად, დათმობაზე წავიდოდნენ, მაგრამ ეს მოლოდინი სავსებით ფუჭი აღმოჩნდა. გერმანელებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ გაექარწყლებინათ ეს ილუზიები. მათ არც უფიქრიათ უარის თქმა „1937 წლის საზღვრების“ რევანშისტულ დოქტრინაზე, რომელიც ბონის მთავრობის პოლიტიკურ გეზს წარმოადგენს. აი, რას ამბობენ ისინი ოდერისა, ნეისსა და ბალტიისპირეთში არსებული პოლონური მიწების შესახებ:

„ჩვენ მშვენივრად გვესმის, თუ რას ნიშნავს პოლონეთისათვის ეს მიწები. მაგრამ მილიონობით გერმანელსაც ხომ მოუხდა მშობლიური ადგილების დატოვება, სადაც მათი მამანი და პაპანი ცხოვრობდნენ. მრავალი საუკუნის წინათ მოვიდნენ ისინი ამ მიწებზე არა როგორც დამპყრობელნი, არამედ როგორც ადგილობრივი თავადების სტუმრები; ამიტომ ჩვენ იძულებულნი ვართ გითხრათ ჭეშმარიტება: როცა ეს გერმანელები აცხადებენ „სამშობლოს უფლებას“, ამ სიტყვებს უკან, მცირე გამონაკლისებს გარდა, როდი იმალება აგრესიული ზრახვები“.

ამგვარად, პოლონელი კოლეგების მიმართვით წაქეზებული გერმანელი ეპისკოპოსები გამოვიდნენ საკუთარი ისტორიული კონცეფციით და გერმანელების საუკუნეობრივი ექსპანსია აღმოსავლეთისაკენ დახატეს როგორც „ადგილობრივი თავადების მიპატიჟება!“ გერმანელი ეპისკოპოსები შეუერთდნენ ბონში შეთითხნილ ფორმულასაც „სამშობლოს უფლების“ შესახებ, რომელიც მრავალი წელია წარმოადგენს რევანშიზმისა და საზღვრების გადასინჯვის ერთ-ერთ ძირითად ლოზუნგს.

პოლონელი ეპისკოპოსები ამგვარი პასუხის შემდეგ თითქოს გადაჭრით და კატეგორიულად უნდა გამიჯნოდნენ მსგავს პოზიციას და განეცხადებინათ, რომ იგი მიუღებელია პოლონელებისათვის. მაგრამ მათ არა თუ გამოიყენეს ეს შესაძლებლობა, არამედ „დადებითადაც“ კი შეაფასეს გერმანელ მღვდელმთავართა პასუხი.

პოლონეთის ეპისკოპატის პოზიცია მით უფრო უცნაური ჩანს, რომ გასული წლის სექტემბრის დასაწყისში პოლონეთთან დასავლეთის მიწების შეერთების თაობაზე ვროცლავში გამართულ დღესასწაულზე მან მხარი დაუჭირა მთელი პოლონელი ხალხის პოზიციას ოდერისა და ნეისის საზღვრის საკითხში. კარდინალმა ვიშინსკიმ და ეპისკოპოსებმა ერთსულოვნად განაცხადეს, რომ პოლონეთს აქვს ყველა ისტორიული, მორალური და პოლიტიკური უფლება ამ მიწებზე.

პოლონელი ეპისკოპოსების პოზიციის შეცვლას დასავლეთ გერმანიაში ზეიმით შეხვდნენ. ბონის ყოფილმა მინისტრმა ადგილშენაცვლებულთა საქმეებში ერნსტ ლემერმა თქვა, რომ „პოლონეთის მიმართვას მთელი სულით და გულით უნდა მიესალმოს კაცი“. თავისი დიდი კმაყოფილება გამოთქვა აგრეთვე რევანშიზმის მქადაგებელმა, „განდევნილთა კავშირის“ თავმჯდომარემ ვენცელ იაკშმაც.

პოლონელი ეპისკოპოსების მიმართვა ძირფესვიანად ეწინააღმდეგება პოლონეთის სახელმწიფოს პოლიტიკას. სახალხო პოლონეთი ახორციელებს მეგობრობისა და თანამშრომლობის პოლიტიკას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან. იგი ისწრაფვის აგრეთვე დასავლეთ გერმანიასთან ურთიერთობის ნორმალიზაციისაკენ, რასაც საფუძვლად უდევს ის, რომ აღიარებულ იქნას არსებული საზღვრები, აღიარებულ იქნას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ხოლო გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ უარი თქვას რევანშისტულ ილუზიებზე, ცივ ომსა და ატომურ შეიარაღებაზე. ევროპის უშიშროება, მშვიდობიანი თანამშრომლობა — აი, პოლონეთის პოლიტიკის მიზანი.

პოლონელი ეპისკოპოსების წერილმა პოლონეთში ჯერ გაოცება გამოიწვია, შემდეგ მღელვარება და ბოლოს საზოგადოებრიობის მტკიცე პროტესტი. სტატიაში „ვისი სახელით“ გაზეთი „ჟიცე ვარშავი“ კითხულობს: „ვინ მისცა ვატიკანში მყოფ ეპისკოპოსებს მონანიებისა და მოტევების უფლება, იმის უფლება, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წინაშე ხელი მიჰყოს „ეროვნულ თვითკრიტიკას?“ ვისი სახელით გადადგეს მათ ეს ნაბიჯი?“ გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ“ წერს: „პოლონეთის ეპისკოპატმა რომ გადაწყვიტა მოემზადებინა და გამოექვეყნებინა თავისი წერილი, წინასწარ იცოდა, რომ არ მიუზღავდნენ სულ მცირე სამაგიეროსაც კი თავის მრავალრიცხოვანი დათმობებისა და ჟესტებისათვის. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მივუხვდეთ იმ მოტივებს, რომლებითაც ხელმძღვანელობდნენ წერილის ავტორები. მაგრამ ეჭვს არ იწვევს ერთი რამ: ისინი ნაკარნახევი არ იყო არც პოლონეთის სახელმწიფო ინტერესებით, არც პოლონელი ხალხის ბედ-იღბალზე ზრუნვით“.

სეიმში ამ წერილის შესახებ გამართული უკანასკნელი დისკუსიის დროს მრავალმა დეპუტატმა განაცხადა, რომ ეპისკოპოსების მოქმედება ეწინააღმდეგება პოლონელი ხალხის გრძნობებსა და ინტერესებს. სხვადასხვა კათოლიკური ორგანიზაციების წარმომადგენელმა დეპუტატებმაც განაცხადეს, რომ არ შეუძლიათ დაეთანხმონ არც ამ წერილის შინაარსს, არც მისი მომზადებისა და გამოქვეყნების მეთოდს.

პოლონელ მღვდელმთავრებს შეეშალათ დროც და ადგილიც. სახალხო პოლონეთი აღარ არის ის ქვეყანა, რომლის პოლიტიკა ეკლესიისა და მისი სულიერი მამების ახირებულობასა, სიბეცესა და „მოტევებაზე“ იყოს დამოკიდებული.

(„ნოვოე ვრემია“)



ვინ მოთვლის, რამდენი სიცოცხლე გადაურჩენიათ ამ ხელებს. ამ თითებს, ახლა ერთმანეთში რომ გადაუჭდია პროფესორს, სასოებით შესცქერიან ხოლმე საოპერაციო მაგიდაზე მისვენებული ავადმყოფები, იმედსა და ხსნას მოითხოვენ მათგან, იციან ავადმყოფებმა, რომ მათ შეიძლება ენდონ.

ერთი ახალგაზრდა ქირურგი, რომელიც არაერთხელ დასწრებია ეგნატე ფიფიას მიერ ჩატარებულ ოპერაციას, თავის შთაბეჭდილებას ასე გადმოგვცემს:

„მისი თითები საოპერაციო მიდამოში ისე მოძრაობენ, როგორც ვირტუოზი დამკვრელის თითები ფორტეპიანოს კლავიშებზე... როდესაც ე. ფიფია საოპერაციო მაგიდასთან დგას, გეგონებათ ეს ჭარმაგი ვაჟკაცი ფიქრს დაუპყრია და ენა წართმევიაო. საოპერაციო დასთან და ასისტენტებთან კავშირს თითების განსაკუთრებული მოძრაობით— ნიშნებით ამყარებს, თუ დაილაპარაკებს, მოკლედ და ხმადაბლა. დგას საოპერაციო მაგიდასთან ოლიმპიური სიმშვიდით და გულმოდგინედ ებრძვის ავადმყოფის სხეულში მიმალულ სიკვდილს.

სწორედ ამ ძვირფასმა თვისებებმა გახადა ეგნატე ფიფია ასეთი პოპულარული, ავადმყოფთა მკურნალი და კარგადმყოფთა იმედი გაჭირვების ჟამს“.

# ოსტატის თითები

პროფ. ეგნატე ფიფია ასზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორია. პირადად მან გააკეთა 6.000-ზე მეტი კუჭის რეზექცია შესანიშნავი შედეგებით. მისი ხელმძღვანელობით კი გაკეთებულია კუჭის რეზექციის 7.000 ოპერაცია.



ფოტო ს. ონანოვისა



კათედრაზე მაღალ-მაღალი, ძალღონით სავსე ჭარმაგი კაცი დგას. ამ კაცმა ნათელი და ლაკონური საუბარი იცის. პროფესორი ფიფია ყოველთვის მშვიდად, ხელების რიტმული მოძრაობით უზიარებს სტუდენტებს თავის ცოდნასა და მდიდარ გამოცდილებას.

ახლა საქართველოს ყოველ კუთხეში შეგიძლიათ შეხვდეთ ეგნატე ფიფიას აღზრდილებს. ორმოცი წლის მანძილზე მან მრავალი კარგი სპეციალისტი გამოზარდა; ისინი ახლა სიცოცხლის დაცვის საგუშაგოზე დგანან და ყოველნაირად ცდილობენ ადამიანის სიყვარულში ტოლი არ დაუდონ თავიანთ საყვარელ მასწავლებელს.



ალბათ მამაპაპური მარნის სიყვარულიც მას სამეგრელოს მთებში მერცხლის ბუდესავით მიყუჟულ სოფელ ჭვარიდან გამოჰყვა. ეს მარანი — მისი დასვენების ადგილია.

ეგნატე ფიფია თავისუფალ დროს ხშირად შეიძლება ნახოთ თავის შვილიშვილთან ერთად; პაპა და შვილიშვილი უახლოესი და გულითადი მეგობრები არიან.





სამოცდაშვიდ წელს მიტანებულ პროფესორს ხშირად ნახავთ თავის სახლის ეზოში მოფუსფუსეს. იგი თვითეულ მცენარეს სიყვარულითა და გულმოდგინედ ელოლიავება და უფხვიერებს ნიადაგს.

# მსახიობის

„მედეა ჯაფარიძის გამოსვლა ჩვენს სპექტაკლში ერთ-ერთი საინტერესო მოვლენაა თეატრის შემოქმედებითს ცხოვრებაში.

წლების განმავლობაში მე თვალს ვადევნებდი მედეა ჯაფარიძის შემოქმედებას და მიმაჩნია, რომ იგი უაღრესად საინტერესო, მკვეთრი ნიჭიერების მქონე, დიდი შინაგანი ძალის მსახიობია.

ეს ორი სპექტაკლი ჩვენი შემოქმედებითი მეგობრობის დასაწყისია, მხოლოდ ამიერიდან ჩვენ მოვნახავთ სხვა ფორმებს, სხვა ნაწარმოებებს მასთან შესახვედრად".

ეს სიტყვები ეკუთვნის საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს, ლენინური პრემიის ლაურეატს, მოსკოვის საბჭოს სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს იური ზავადსკის, რომლის წინადადებითაც მედეა ჯაფარიძე მიმდინარე წლის დასაწყისში მიწვეული იყო აღნიშნულ თეატრში კლეოპატრას როლზე (ბ. შოუს პიესა „კეისარი და კლეოპატრა").

ეს როლი მედეა ჯაფარიძეს თბილისში უკვე ჰქონდა ნათამაშები მარჯანიშვილის სახ. თეატრში (დადგმა ვ. ყუშიტაშვილის, კეისარი — ვ. გოძიაშვილი). კლეოპატრას სახე, თავისი აქტიორული სიმახვილით, როლის შინაგანი განვითარების კანონზომიერებით, ემოციურობით, ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზით ერთ-ერთი საინტერესო სახეა მედეა ჯაფარიძისათვის და ბუნებრივია, რომ მან ასეთი რეზონანსი მიიღო.

მედეა ჯაფარიძემ ეს როლი თავისი შემოქმედებითი სიმწიფის პერიოდში ითამაშა. ამიტომ იგი სავსეა ოსტატობით, ინტელექტით. მაყურებელი მოწმეა იმ დიდი შინაგანი ძვრების, რომლებიც კლეოპატრას ბუნებაში ხდება: ველურ ინსტიქტებზე იმარჯვებს გონება, ქალის საკუთარი ღირსების შეგრძნება და სპექტაკლის დასასრულს იგი გვევლინება ძალაუფლებისათვის მებრძოლ ქალად, რომლისთვისაც მიზნის მისაღწევად ბრძოლაში უცხოა ყოველგვარი კომპრომისი. სპექტაკლის დასასრულს მოხიბლული ხართ მედეა ჯაფარიძის საინტერესო მსახიობური მიგნებებით, ტემპერამენტით, მკვეთრი დეტალებით და რაც მთავარია, ხასიათის განვითარების საოცარი ოსტატური ჩვენებით.

რამდენადაც ეს როლი მედეა ჯაფარიძეს საინტერესოდ, გამოკვეთილად ჰქონდა მომზადებული, იმდენად რთული იყო მისი შესრულება ახალ გარემოში, სხვა სცენურ ანსამბლში, ახალი რეჟისორული გადაწყვეტით, და ისიც არა მშობლიურ ენაზე. სპექტაკლი (რეჟ. ი. ზავადსკი) ყოფითად იყო გადაწყვეტილი. მედეა ჯაფარიძემ კი, როგორც თვით მოსკოველები აღნიშნავენ, რომანტიკული ზეაწეულობა, სამხრეთული ტემპერამენტი შეიტანა მასში, რითაც სიმკვეთრე მისცა მთელ სპექტაკლს.

მთელი კოლექტივი, რეჟისორი, პარტნიორები მხარში ამოუდგნენ მედეას, ბევრი მიზანსცენა, სცენური ამოცანა მის აქტიორულ განწყობილებას დაუქვემდებარეს და ამით ანსამბლი არ დაირღვა.

სპექტაკლში მედეა ჯაფარიძე — კლეოპატრა ორგანულად მოთავსდა.

მ. ჯაფარიძის კლეოპატრა, როგორც მარჯანიშვილის თეატრში, ისე რუსული თეატრის სცენაზე, კიდევ ერთი გამარჯვებაა მსახიობის შემოქმედებით ბიოგრაფიაში; მსახიობის მიერ როლის ფსიქოლოგიურმა წაკითხვამ მაყურებელი მისდა სასარგებლოდ განაწყო. პირველივე გამოჩენიდან უშუალო კონტაქტი დამყარდა სცენასა და მაყურებელს შორის.



ი. ზავადსკი და მ. ჯაფარიძე

სპექტაკლებს დაესწრნენ რუსული ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწენი, რომელთაც ქართველი მსახიობის თამაშს ფრიად მაღალი შეფასება მისცეს.

საინტერესოა კეისრის როლის შემსრულებლის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის როსტისლავ პლიატის აზრი.

„მიყვარს პარტნიორი, როდესაც ვგრძნობ, რომ მას მთლიანად ესმის ჩემი, აქვს მსახიობური კონტაქტის უნარი ამ სიტყვის ყველაზე შესანიშნავი გაგებით. ამგვარ პარტნიორთან თამაში სასიამოვნოც არის და ბუნებრივიც. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ გრძნობ, რომ რაღაც სასარგებლო საქმე გააკეთე.

ასეთი პარტნიორია მედეა ჯაფარიძე, ნიჭიერი მსახიობი და შესანიშნავი პიროვნება".

სსრ კავშირის სახალხო არტისტმა მიხეილ ულიანოვმა განაცხადა:

„მე მედეა ჯაფარიძე გავიცანი ლენინური პრემიების კომიტეტის სხდომების მიმდინარეობის დროს.

მედეა მეტად ჭკვიანი, პრინციპული ქალი ჩანს, გავიფიქრე ჩემთვის, როდესაც მის გამოსვლებს ვუსმენდი; მე ვიცოდი, რომ იგი ბრწყინვალე სცენური მონაცემების, ფართო დიაპაზონისა და დიდი ტემპერამენტის მქონე მსახიობია, ქართული თეატრის ერთ-ერთი საუკეთესო ოსტატი. გამეხარდა, როდესაც შესაძლებლობა მომეცა მისი სცენაზე ნახვისა.

გაიხსნა ფარდა... სცენაზე გამოჩნდა კლეოპატრა; მსახიობმა პირველივე რეპლიკებით დაიპყრო დარბაზი და მათ შორის მეც. ბრწყინვალე აქტიორული ოსტატობა, უშუალობა, ტექნიკა, გადამდები ტემპერამენტი, აი ის თვისებები, რომლითაც მ. ჯაფარიძის აქტიორული ხელწერა გამოირჩევა. სასურველია, რომ ასეთი სახის გასტროლები სისტემად იქცეს. ამით ჩვენ გავიცნობთ არა მარტო მოძმე რესპუბლიკების წამყვან მსახიობებს, მათ უნარს, შესაძლებლობებს, არამედ ვისწავლით კიდეც".

ციალა ყიფიანი

კეისარი (რ. პლიატი) და კლეოპატრა (მ. ჯაფარიძე).



მედეა ჯაფარიძე კლეოპატრას როლში.



# ვალერიან გაფრინდაშვილი

სერგო კლდიაშვილი

ამბობენ, ფიზიკურად ღონიერი ადამიანი უმეტეს შემთხვევაში კეთილი არისო: ვალერიანიც კეთილი და მოკრძალებული იყო. მაგრამ მათ, ვინც მწერლობას გართობად თვლიდა, ქედმაღლურად დაჰყურებდა, ანდა ვისაც პოეზიის არა გაეგებოდა რა, მაგრამ მაინც დიდ პრეტენზიებს აცხადებდა და მსაჯულის როლში გამოდიოდა, ამავე დროს კი, უგემოვნობას და უვიცობას იჩენდა, არ ვურჩევდი საჯაროდ ეთქვა რაიმე იმ საზოგადოებაში, სადაც ვალერიან გაფრინდაშვილი იქნებოდა. უწყინარი და მშვიდი, ასეთ შემთხვევაში ის სრულიად იცვლებოდა, შეურიგებელი ხდებოდა და ძალა აღარ ყოფნიდა თავისი უკმაყოფილება არ გამოეთქვა.

ერთ ნახევრად ოფიციალურ შეკრებილობაზე სიტყვით გამოვიდა კრიტიკის დარგში ტონის მიმცემის პრეტენზიის მქონე მოქალაქე, რომელსაც აუდიტორია უფრო იმიტომ იტანდა, რომ ხელისუფლების წრეებში გავლენიანი პირი იყო. მაღალფარდოვანი ფრაზებით ლაპარაკობდა ის მწერლობაზე და ახალი თაობის ზოგიერთ პოეტზე. ერთიორჯერ უკმეხად გამოთქვა თავისი აზრი, მსმენელთა ნაწილი ტაშს უკრავდა და ეტყობოდა, ემხრობოდა. ყველაფერი ჯერ კიდევ მოსათმენი იყო, მაგრამ როცა მან ერთგვარ მუქარასაც მიმართა, გამეფებული სიჩუმე უეცრად ვალერიანის ხმამ დაარღვია:



ვ. გაფრინდაშვილი.
ნახატი პაოლო იაშვილისა.

— თქვენი საქმე არაა პოეზია! თქვენ უფრო შეგშვენით ოკოლოდოჩნიკის კიტელი და სასტვენი!

კიდევ ერთი შემთხვევა: ქუთაისის ერთ სარდაფში ჩავედით სასადილოდ. დარბაზში რამდენიმე სუფრა გაშლილი იყო და ლხინობდნენ, ჩვენს ახლო ოთხიოდე კაცი იჯდა, არც თუ უცნობი ჩვენთვის. ცნობილი ვაჭრები იყვნენ, რომლებიც მაშინდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში არც თუ უკანასკნელ როლს თამაშობდნენ. ის იყო ოფიციანტმა საუზმე მოგვიტანა, მეორე ოფიციანტმა, რომელიც ვაჭრებს ემსახურებოდა, რამდენიმე ბოთლი ღვინო მოგვართვა. — „იმ სუფრამ მოგიკითხათო“, — გვითხრა. ეს, ხომ, ჩვეულებრივი ამბავი იყო. ახლაც იციან ხოლმე, იმ დროს კი თითქმის წესად იყო მიღებული, რომ სუფრა სუფრას მოიკითხავდა. მადლობა შევუთვალეთ და ის იყო დავაპირეთ ჩვენის მხრივაც თავაზიანობა გამოგვეჩინა, თუმცა გვიჭირდა ეს, რადგან არც თუ მდიდრად ვიყავით, როცა უეცრად მოგვესმა:

— პოეტებო, დალიეთ ჩვენი სადღეგრძელო და ლექსიც გვითხარით რაიმე!

ამის გაგონებაზე გაფრინდაშვილი უმალვე წამოიჭრა, ოფიციანტს დაავალა უკანვე წაეღო ძღვენი, მთელი დარბაზის გასაგონად კი ხმამაღლა გასძახა:

— გადაეცით იმ ვაჟბატონებს, რომ პოეტები არ სვამენ სპეკულიანტების სადღეგრძელოს!

ვალერიან გაფრინდაშვილის პირველ ლექსებშივე ადვილად შესამჩნევი იყო რეალისტური მანერა, რომელიც ბოლოს კიდევაც განმტკიცდა მის პოეზიაში. ასეთია, მაგალითად, „ღამის ფოთლები“, რომლითაც ის სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1916 წელს.

მაგონდება, როგორ ააწრიპინეს თავიანთი კალმები ზოგიერთმა კრიტიკოსებმა მისი ერთი ლექსის გამო: „ოცნება წვიმაში“. დღეს შეიძლება მხოლოდ გაკვირვება გამოიწვიოს მათმა გალაშქრებამ. ისინი საოცრად აღარიბებდნენ რეალიზმის ცნებას და არსებითად ეპიგონობისკენ მოუწოდებდნენ ახალგაზრდებს, თორემ როგორ შეიძლებოდა არ შეენიშნათ, რომ იმ ლექსებში დეკადენტური არაფერი იყო. მაგრამ იქნება გაფრინდაშვილის მიერ თავისებურად გააზრებული სახეები, სტილისტური მხარე და თვით ფორმაც სონეტისა ეუცხოვათ და გაუგებარი დარჩა მათთვის? აკი ვიღაც რეცენზენტმა ერთხელ ისიც კი უსაყვედურა პოეტს, რომ ლექსში ბოლო ორ სტროფს თითო სტრიქონი აკლიაო! სონეტის ფორმას კი გაფრინდაშვილი მართლაც საუცხოოდ იყო დაუფლებული.

ვ. გაფრინდაშვილისა და მის ახლო მეგობრების წინააღმდეგ არა ერთხელ მიუტანიათ იერიში. მწერლობაში კონსერვატულად განწყობილნი უკიჟინებდნენ, რომ უცხონი ხართო, და ათასგვარ ცოდვებს მიაწერდნენ. მაგრამ ცხოვრებამ მალე გვაჩვენა თუ ვინ უფრო იყო სიცოცხლისუნარიანი. ლიტერატურული სკოლა, მიმდინარეობა, არ წარმოიშვება ერთი-ორი ან თუნდაც რამდენიმე კაცის ნება-სურვილით და კაპრიზით. ყოველივე ახალს უკვე მომზადებული აქვს ნიადაგი, ის გამოძახილია იმ ცვლილებისა, რომელიც იწყება საზოგადოების, ხალხის ცხოვრებაში. მისი გამოჩენა ყოველთვის მოვლენათა კანონზომიერებას და ცხოვრების სინამდვილეში არსებულ სულიერი განწყობილების შედეგია. „ცისფერი ყანწების“ გამოჩენაც სავსებით კანონზომიერი იყო იმ დროში, როცა პირველ მსოფლიო ომში ჩათრეული ძველი სამყარო უკანასკნელ მიჯნაზე იდგა და მომავალი რევოლუციების ქარტეხილი ძალიან მოახლოვებული იყო. ასეთ გარემოში, ბუნებრივია, რომ ბევრი რამის გადაფასება იწყება და მწერლობაც, ეს საოცრად მგრძნობიარე სეისმოგრაფი, ახალი გზების ძებნას იწყებს და თავისი განცდების ახლებურად წარმოსახვას მიმართავს. ვალერიან გაფრინდაშვილმა, რა თქმა უნდა, ხარკი გაიღო ლიტერატურაში მაშინ გამეფებული სიმბოლისტური მიმდინარეობის წინაშე, მაგრამ მისი სასიცოცხლო ძალა და ორიგინალობა სწორედ იმაშია, რომ თავის „დაისებში“, ჰამლეტის, ოფელიას, კალიოსტროს, აშორდიას ციკლის ლექსებში, მან იმ დროის სულიერი განწყობილება გამოამჟღავნა და ამით ერთგვარად რეალურ სამყაროს დაუახლოვა თავისი პოეტური ზმანებები.

რაც დრო გადიოდა, გაფრინდაშვილი, როგორც პოეტი, უფრო ნათელი და უფრო დახვეწილი ხდებოდა. მისი ლექსი „ქანდარაზე“ მომხიბლავი შერწყმაა რეალურისა და ფანტასტიკურის და არ შეიძლებოდა შექმნილიყო, რომ მანამდე პოეტს დიდი გზა არ ჰქონოდა გავლილი. ეს შესანიშნავი ლექსი ფანტასტიკურში გადასული გვეჩვენება უფრო იმიტომ, რომ მუსიკის ჯადოსნური ძალა პოეტის მიერ საოცარი ძალით და ორიგინალურად არის შეგრძნობილი.

ვალერიან გაფრინდაშვილის პოეზია რომ ხალხის გულს წვდებოდა, ამას თუნდაც ერთი ამბავი ადასტურებს: პოეტის გარდაცვალების რამდენიმე ხნის შემდეგ მწერალთა კავშირის დარბაზში მისი მოსაგონარი საღამო გაიმართა. საღამოში მონაწილეთა შორის იყო ვალერიანის ცოლისდა, რესპუბლიკის სახალხო არტისტი თამარ ჭავჭავაძე, რომელმაც წაიკითხა მისი „ისეთი ლექსი“. ლექსის ნახევარი ჯერ კიდევ არ ჰქონდა თქმული მსახიობს, როცა დარბაზში მყოფი ხალხი ფეხზე წამოდგა და, ერთი გრძნობით შეპყრობილი, მონუსხულივით უსმენდა. ეს იყო ნამდვილი საგალობელი თავისი მომხიბლავი უბრალოებით, სიწმინდით, სინათლით სავსე, საოცარი ძალით გულში ჩამწვდომი და ამაღელვებელი.

ჩვენ ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსების სრული კრებული, ხოლო მისი კრიტიკული წერილები და ესსეები ერთხელაც არ გამოცემულა ცალკე წიგნად და ჩვენი მკითხველისთვის თითქმის სრულიად უცნობია. ზოგი რამ აქედან იქნებ მიუღებელია დღეს, მაგრამ იმის გასაცნობად, თუ რა გზა აქვს გავლილი ამ თავისებურ პოეტს და მასთან ერთად ჩვენი საუკუნის პირველი ათეული წლების ქართულ მწერლობას, ძალიან საინტერესო და საჭირო მასალას შეიცავს.

სამოცდათხუთმეტი წელიწადი შესრულდა ვალერიან გაფრინდაშვილის დაბადებას და ოცდახუთი მისი გარდაცვალების დღიდან:

ვიყავი მხოლოდ ლექსით მდიდარი,
არ მიძებნია მეტი ქონება
და ლექსის გარდა არავითარი
მე არ მხიბლავდა სხვა შთაგონება.

...ისეთი ლექსი დავწერო მინდა,
რომ არ დამჭირდეს კიდევ ცხოვრება,
და მჯერა, ჩემი სიმღერა წმინდა
სამშობლო მხარეს ემახსოვრება.

დრო მკაცრი მსაჯულია, დასავიწყებელს ადვილად იმეტებს და იშორებს. ხოლო ამ შემთხვევაში ის ვერ გამოიჩენს თავის სიმკაცრეს. ვალერიან გაფრინდაშვილს ჰქონდა უფლება დარწმუნებული ყოფილიყო, რომ მის სიმღერას სამუდამო სიცოცხლე აქვს მინიჭებული.

* დასასრული. იხ. „დროშა“ № 3.

# კალაძის ახალი წიგნი

თავისი ახალი ლირიკული ლექსების კრებულის წინათქმაში კარლო კალაძე აღნიშნავს: „ეს არის ჩემი დღისა და ღამის წიგნი. ყველა ფიქრი და ყველა განცდა, რაც ამ წიგნის ფურცლებზე აღიბეჭდება, ვიმედოვნებ, რომ ერთგვარად დღევანდელ დღესაც ასურათებს... მეც ჩემი გაზაფხული და ჩემი შემოდგომა მახარებდა! იმ ზღვის პირად, ჩემს პატარა ბაღში, სადაც ამ ლექსების პირველი სუნთქვა გაისმა, ხის მწვანე ფოთოლიც კი წლიდან წლამდე არ ჭკნება და ნურავინ გამამტყუნებს, თუ იგივე იმედი მეცა მაქვს“.

თავიდან შეიძლება ითქვას, რომ ავტორის ამ იმედს წიგნი ჭეშმარიტად ამართლებს. პოეტის შინა-სამყარო გამდიდრებულია ცხოვრებასთან, ხალხთან სიახლოვით, საზოგადოებასთან მჭიდრო და ღრმა კავშირით. ეს იგრძნობა მუდამ, რა თემასაც არ უნდა ეხებოდეს პოეტი, მისი თემატიკა კი მრავალფეროვანია. იგი უმღერის გაზაფხულის დღის მოსვლას, ზღვას, განახლებულ სოფელს, მზეს, ძველ დიოსკურიას, რუსთაველსა და „ვეფხისტყაოსანს“, მთებზე გადმომდგარ ოდებს, თბილისს, დარიალს. კითხულობთ ამ ლექსებს და გრძნობთ, ეს ნამდვილად ცხოვრებისეული პოეზიაა.

კ. კალაძის ლექსებში ფართოდ არის წარმოდგენილი ლირიკული პეიზაჟები. პოეტმა კარგად იცის, რომ ბუნება ამოუწურავი წყაროა მშვენიერებისა და სიკეთისა. აქ ბუნება არ არის უბრალოდ ფონი ან დეკორაცია, არამედ ადამიანთა ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. პოეტი ბუნებაში ხედავს შემოქმედებით საწყისებს, რაც მგრძნობიარე პიროვნების არსებაში იწვევს ღრმა ემოციებს, უნაზეს სულიერ მოძრაობას.

კ. კალაძეს ბუნებაში გადააქვს ადამიანთა ურთიერთობის, ვნებების რთული გამმა. ამიტომ იგი ბუნებას უბრალოდ, გარეგნულად კი არ აღწერს, არამედ გვიჩვენებს, როგორც ცოცხალ ორგანიზმს:

> შავი ზღვის პირად, იქ სადაც ტალღას
> შეეპარება თმაში ჰალარა,
> ქვიშა მოხვეჭა ზღვამ საიდანღაც
> და გამჭვირვალე ფსკერზე დაჰყარა.
> ფსკერზე დაჰყარა პატარ-პატარა
> ქუთუთოების მსგავსი ნიჟარა,
> ფსკერზე დაჰყარა, მაგრამ თითებით
> მოვეფერებოდი, არ დამიშალა!

კ. კალაძის ლექსებში ნათლად ჩანს როგორ ეხმაურება ბუნება ადამიანის განწყობილებას. გამოღვიძებული მიწის, გაზაფხულის სურათში პოეტი ორგანულად აქსოვს სიცოცხლისმოყვარეობის, აღფრთოვანების, სილამაზისადმი ტრფიალის რომანტიკულ გრძნობას.

პოეტს ბუნება წარმოუდგენია გასულიერებულ არსებად: ათასი წლის თელას თითქოს ესმის ადამიანის სუნთქვა; ბაღში მდგარი ხე თითქოს ბეჭების რხევით ეძებს ქარით გაშლილი ვაზის ჯერ აუკრავ ლერწებს; სავსე ქვევრი სულს ითქვამს, როგორც ენამჭევრი კაცი. გასულიერებული ბუნების ეს ლამაზი სურათები, შემოქმედს მსჭვალავს ოპტიმისტური სულისკვეთებით, სიცოცხლისადმი სიყვარულით, განუსაზღვრელი იმედით.

ხედავს რა პოეტი ხალხის შემოქმედებით შრომას, თვითონაც იმსჭვალება მისდამი დიდი სწრაფვით, მას სურს მისი შრომაც შეუერთდეს სახალხო შრომას:

> სოფელს ვაშა,
> სოფელს — შრომით გართულს,
> ჩემი შრომაც მინდა შრომას ჰგავდეს!
> მე ჩემს სიტყვას,
> მე ჩემს ანბანს ქართულს
> ჰირნახულის ყოველ კვალში დავთეს!

პოეტის სიტყვა მუდამ მიმართულია ადამიანის გულისაკენ. კ. კალაძე კარგად ახერხებს ცხოვრების სიხარულის ჩვენებას. ამისათვის იგი იყენებს კონკრეტულ, ნათელ დეტალებს. თავის ლექსებში იგი განსაკუთრებული ხალისით ლაპარაკობს შემოდგომის შესახებ, ხატავს მის მიმზიდველ სურათებს,




როგორც დოვლათის, მშრომელი ხალხის წლიური შრომის ბედნიერ შეჯამებას.

ცხოვრებაზე შეყვარებული პოეტი დიდი მგზნებარებით უმღერის მშვიდობასა და ხალხთა მეგობრობას. გრანდიოზულ მშენებლობაში ჩაბმულ ჩვენს ქვეყანას არ სურს გამანადგურებელი ომი, რისკენაც მიისწრაფიან კაპიტალისტური ონავრები:

> არა! მე ახალ თბილისს ვუმღერი
> და შენობები ასცდნენ ჩარჩოებს,
> ნუთუ წყალბადის შავი ღრუბელი
> წაშლის ამ ქალაქს, ამ ხარაჩოებს!
> არა, არ მჯერა! და უნებური
> ფიქრია მხოლოდ, ფიქრი ფრთაშავი...
> არა! — ბედს უკვე დაუფლებული
> დგას უკვდავება მთაწმინდასავით!

უკვდავებისაკენ მიმავალი ხალხი ურყევი რწმენით შეჰყურებს თავის ნათელ მომავალს.

პოეტის ღრმა რწმენით, სიმღერას არ უწერია სიკვდილი, ისევე როგორც არ უწერია სიკვდილი ქვაში გამოქანდაკებულ სახეს, რომელსაც ხელოვანმა დაანათლა დიდების შუქი. ხელოვნების, კერძოდ პოეზიის და ცხოვრების ურთიერთობის საკითხებს კ. კალაძემ არა ერთი ლექსი მიუძღვნა. ამ ციკლის ნაწარმოებებს აგვირგვინებს თორმეტ სტრიქონიანი საუცხოო ლექსი, რომელშიც დიდ პრობლემასთან დაკავშირებით დახასიათებულია ჩვენი ერის უკვდავების გამომხატველი გენიალური „ვეფხისტყაოსანი“. ესაა ემოციურ-აზრობრივად დატვირთული ლექსი, რომელშიც ხაზგასმულია „ვეფხისტყაოსანის“ ბრწყინვალება, მისი ძალა:

> მზეს უკეთესი მოძმე ვინა ჰყავს,
> ქარმა ვერც ღრუბლით მიფარ-მოფარა, —
> ჩვენი ასეთი ძმობაც მანახავს,
> „ვეფხისტყაოსნის“ პწკარში ხომ არა?!

პოეტს გულით სურს გაიგოს ცნობილი სიმღერა „ვარაიდა-ვარადა“ პირველად ვინ დაამღერა, ვაჟკაცის ტკივილმა თუ ხალისმა? იგი მოგვითხრობს, რომ ამ შესანიშნავი სიმღერის ისტორია დაკავშირებულია მთის შვილის სახელთან. მთებში სანადიროდ ახალგაზრდა ვაჟკაცი მიდის. ჯიხვის ნაფეხურებმა იგი მთების მწვერვალებამდე აიყვანა. როცა მისი მზერა და თოფი მიმართული იყო კლდეზე მდგარ ჯიხვისაკენ, ამ დროს მისი მუხლი დაგესლა საშინელმა შხამიანმა გველმა. მონადირემ ჯიხვსაც აარცილა ტყვია და მოსხეპილივით თვითონაც დაეცა მიწაზე. სიკვდილის აჩრდილი დასტრიალებს მას თავს, მაგრამ იგი გადაეშვა მდინარეში, რათა ცურვით მიაღწიოს თავის ძმებთან, სოფელთან. მიცურავს, უახლოვდება სახლ-კარს, მაგრამ როგორ იკადროს ვაჟკაცმა კვნესა-გოდება, მას პირზე ყოველთვის ღიმილი უნდა ეფინოს, მაგრამ შორიდან აბა, ღიმილით ვის რას გააგებინებს? უხმოდ ვინ გაიგებს წუხილს? მის გულს უეცრად აღმოხდა: „ვარაიდა-ვარადა“!

> ეს არც ჩუმი თხოვნაა
> და არც შმაგი ძახილი,
> და არც ღონეწართმეულ
> კაცის გმინვა დაღლილი!
> არც სიკვდილის შიშია,
> მხდალს რომ კვნესით ამხელდეს, —
> ასე მხოლოდ გაბედულს
> შეუძლია ამღერდეს...
> ასე ისმის ყოველთვის
> „ვარაიდა-ვარადა“,
> მოგონილი საკუთარ
> სიმწრის დასაფარადა.

ასეთია ამ ლამაზი აფხაზური სიმღერის სათავე. იგი ნამდვილად ვაჟკაცობის აპოლოგიაა. ამ ლექსში ხალხმაც, პოეტმაც უკვდავი სიმღერა უთხრა იმას, ვინც ვერ მოდრიკა ვერავითარმა განსაცდელმა.

„მამა“ მოკლე ლირიკული პოემაა და მასში ავტორი ძვირფასი, მახლობელი ადამიანის კეთილშობილური სახის გახსენებით გამოსთქვამს თაობათა უკვდავების იდეას. ეს ნაწარმოები აღსავსეა დიდი შინაგანი სითბოთი და სიწრფელით. აქ განსაკუთრებით მძაფრად არის გადმოცემული პოეტის გულის ტკივილიცა და სიხარულიც.

ასეთია ამ ლირიკული კრებულის ხასიათი.

მაინც ეს კრებული არ არის სავსებით უნაკლო. ზოგი მხატვრული ნაკლი, რაზედაც არაერთხელ მიუთითებია სალიტერატურო კრიტიკას, გვხვდება ამ კრებულშიც. მაგალითად, დეტალებით გატაცება ზოგჯერ აიძულებს ჩვენს პოეტს დაივიწყოს პროპორციები, მთლიანობა. ამიტომ ლექსი ყოველთვის არ არის ორგანული, არქიტექტორულად მთლიანი; არც ისაა მოსაწონი, რომ კ. კალაძე ლექსში ბევრს მსჯელობს, კომენტარებს უკეთებს თავის გრძნობებს და არ ხსნის მათ მხატვრულად — სახეებში, რითმებში; ზოგი ლექსი უფრო მეტად წარმოადგენს „შინაგან მონოლოგს“, ვიდრე პოეტურ თხრობას ან ამღერებას.

ყოველივე ეს მაინც არ ამცირებს კ. კალაძის შემოქმედების საერთო მნიშვნელობას თანამედროვე ქართულ პოეზიაში. შეიძლება ითქვას, რომ ეს კრებული საუკეთესოა ჩვენი პოეტის ყველა მანამდელ კრებულებს შორის, ერთგვარად მასში შეჯამებულია ოთხი ათეული წლის მხატვრული ძიებები. ეს წიგნი ნათლად გვიჩვენებს, რომ კარლო კალაძე ეკუთვნის სიტყვის იმ პირველხარისხოვან ოსტატთა რიცხვს, ვინც დააფუძნა ახალი ქართული საბჭოთა პოეზია და ვისაც წინ მიჰყავს იგი დღეს.

ᲨᲐᲚᲕᲐ ᲠᲐᲓᲘᲐᲜᲘ

# წყაროთმცოდნეობის განყოფილება

ეროვნული ბიბლიოთეკა



სხედან: მარჯვნიდან მარცხნივ — თამარ მაჭავარიანი, კ. რამიშვილი, დგანან — თამარ დონდუა, ელენე გოგოძე.

კარლ მარქსის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკა, კავკასიოლოგიის განყოფილება... აქ შეიძლება შეხვდეთ ყველას, ვინც კი ჩვენი ქვეყნის, ჩვენი კულტურის ისტორიას იკვლევს და სწავლობს. ბიბლიოთეკის ამ განყოფილების სული და გული — თამარ მაჭავარიანია, რომელიც შეუცდომლად მიგითითებთ ყველა ცნობასა და ყველა **წყაროს.**

ჩვენ რომ შევედით, ის იყო ტელეფონმაც დარეკა. რომელიღაც სამეცნიერო ინსტიტუტიდან თხოულობდნენ ცნობას, თუ რომელ წელსა და რომელ თვეს დაიწყო ზაჰესის მშენებლობა. თამარმა იქვე დაუსახელა წიგნები და ჟურნალების ნომრები, სადაც ყოველივე ეს აღნუსხულია.

მაგიდას ხანში შესული კაცი მიუახლოვდა:

— ქალბატონო თამარ! მე მაინტერესებს ვინ იყვნენ ავტორები „ივერიაში“ დაბეჭდილი მასალებისა, რომლებსაც წარწერილი აქვს „ლასურიძე“, „ინზელი“ და ინიციალი „ბ. დ-ლი“.

— ლასურიძე იყო ცნობილი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე მოსე ჯანაშვილი, ინზელის ფსევდონიმით წერდა მწერალი და ცნობილი თეატრალური კრიტიკოსი ილია ზურაბიშვილი, ხოლო „ბ. დ-ლი“ ცნობილი მთარგმნელი და მრავალი სხვადასხვა გაზეთის თანამშრომელი ბუღდან ევანგულოვია.

თამარ მაჭავარიანმა, თავის თანამშრომლებთან — თამარ დონდუასა და ელენე გოგოძესთან ერთად, ბევრი ინიციალი და ფსევდონიმი გახსნა. ამ მუშაობას იგი კვლავ გატაცებით განაგრძობს, ეს კი ფრიად მნიშვნელოვანი საქმეა. ეს კვლევა-ძიება დიდად ამდიდრებს ჩვენი ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის ისტორიას, ვინაიდან ხშირად ფსევდონიმებსა და ინიციალებს შეფარებულია ესა თუ ის გამოჩენილი მოღვაწე, რომელსაც ეპოქის აზრის განვითარებისათვის თავისი კვალი დაუმჩნევია. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა მკვლევარებმა დიდი მუშაობა გასწიეს ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველასა და ალექსანდრე ყაზბეგის ნაწერების ტექსტის გამოცემისათვის, აქ მაინც ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. აი თუნდაც ერთი მაგალითი: ილია ჭავჭავაძის მეხუთე ტომის 341 გვერდზე იწყება წერილი „შინაური მიმოხილვა“. ილიამ იგი მოწინავედ დაბეჭდა 1896 წლის გაზეთ „ივერიის“ მეორე ნომერში. როდესაც თამარ მაჭავარიანი ილიას ტექსტზე მუშაობდა, შეამჩნია, რომ წერილში ლოგიკური თანმიმდევრობა არ იყო და, მოგეხსენებათ, თუ როგორი რკინის ლოგიკა ჰქონდა ილიას. შემდეგ, მართლაც გამოირკვა, რომ 1896 წელს „ივერიის“ მეორე ნომერში დაბეჭდილ წერილს ნახევარზე მეტი აკლია, ასე არასრული სახითაა იგი გამოქვეყნებული მწერლის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში. ამას გარდა, თამარ მაჭავარიანმა მიაკვლია ილია ჭავჭავაძის 34 წერილს, რომლებიც საჭიროა გამოიცეს: ეს დიდად გაამდიდრებს ილიას ლიტერატურულ მემკვიდრეობას.



თ. მაჭავარიანი.

სანამ თამარ მაჭავარიანი ქართული წიგნის მკვლევარი გახდებოდა, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მუშაობდა. ამ კეთილშობილურ საქმეს მან თავისი ცხოვრების ოცდახუთი წელი შესწირა. მთელი ამ ხნის განმავლობაში იგი უნერგავდა ახალგაზრდობას მშობლიური კულტურისა და ლიტერატურის სიყვარულს, პატრიოტულ გრძნობას და კაცთმოყვარეობას; ამ სიყვარულმა ჩვენი ერის ისტორიისადმი მიიყვანა იგი დიდ სამეცნიერო კერამდე — კარლ მარქსის სახელობის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკამდე. ამიერიდან იგი გახდა ქართული წიგნის გულმოდგინე მკვლევარი და მესაიდუმლე.

1936 წელს თამარ მაჭავარიანის თაოსნობით რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში ჩამოყალიბდა კავკასიოლოგიის განყოფილება; ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ეს განყოფილება მომსახურებას უწევს ყველას, ვინც ქართული კულტურის ისტორიაზე მუშაობს. ამას გარდა, აქ ჩამოდიან მკვლევარები სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, საერთოდ საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან და უცხოეთიდანაც. აქ მუშაობდა ქართველი ხალხის დიდი მეგობარი, ჩეხი ქართველოლოგი პროფ. იაროსლავ იედლიჩკა.

თამარ მაჭავარიანმა შეისწავლა და დაამუშავა ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის კატალოგი, ნიკო ნიკოლაძის არქივი, გამოაქვეყნა ქართული პერიოდული ჟურნალ-გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია. ყოველივე ეს მან ცალკე წიგნებად გამოსცა და ამით დიდად წასწია წინ ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის მეცნიერული შესწავლის საქმე.

დამთავრდა სამუშაო დღე, მაგრამ თამარი მაინც არ ისვენებს. ის ახლა ხარფუხისაკენ მიემართება, რათა სისტემაში მოიყვანოს იოსებ გრიშაშვილის უზარმაზარი ბიბლიოთეკა.

თამარ მაჭავარიანი თავისი მოღვაწეობით გვაგონებს იმ ძველ ქართველ ქალებს, რომელთაც საუკუნეთა მანძილზე, ომისა თუ მშვიდობის წლებში, უბით უტარებიათ ქართული წიგნი, რათა გადაერჩინათ იგი და შთამომავლობისათვის გადაეცათ.

ალ. სიგუა

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

## გიორგი შატბერაშვილის ხსოვნას

„სხვა არაფერი, მხოლოდ ყვავილი,
საფლავს რა უნდა ყვავილის მეტი...“

გ. შატბერაშვილი

**სხვა არაფერი, მხოლოდ ყვავილი?**
**მუდამ გფენოდეს ვარდი და ია,**
**საფლავი რაა, რაა სიკვდილი,**
**განა შენს წასვლას სიკვდილი ჰქვია!**

**სხვა არაფერი, მხოლოდ ყვავილი?**
**თავისით მოვლენ: ია, ენძელა,**
**აქ, შენს საფლავთან მოვა აპრილი,**
**შერცხვენილს მოსვლა თუ არ ეძნელა.**

**კვირტით დახუნძლულ ტოტს თავს აფარებს,**
**შეიფრთხიალებს ჩიტი მზეწვია,**
**შეიფრთხიალებს და მოგახარებს**
**რომ გაზაფხული, ისევ გვეწვია.**

**მოგახარებს და გაჰქრება მყისვე,**
**დაგხედავს მკვდრის მზე ფერნამკრთალები,**
**თვალებს დახუჭავს ყაყაჩო ისევ,**
**იქნებ დამალოს შავი ხალები.**

**მკვდრის მზე ხის ტოტებს თავს მოარიდებს,**
**მოგზაურობით თითქოს იღლება,**
**საჭილდაო ქვას ხავსი ატირებს,**
**აღარც კი ახსოვს თენგოს სიმღერა.**

ლეილა ნანიტაშვილი





# სიმღერის დედა

ქართლი, სოფელი კავთისხევი... ასწლიანი კაკლის ხეებით დამშვენებული ეზოები, ზვრები და ბაღები, მორაკრაკე წყაროები, ყველაფერი ადამიანს აქ მშვენიერებისა და სიკეთისადმი მისწრაფებით განაწყობს. ამ ბუნების წიაღში დაიბადა და აღიზარდა ხალხური სიმღერების მესაიდუმლე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი მარო თარხნიშვილი.

მარო შვილია გიორგი სააკაძის შთამომავლის — ესტატე თარხნიშვილისა, რომელიც გამოირჩეოდა თავისი ახოვანი გარეგნობით და კეთილშობილური სულით; ესტატეს მეუღლე ნატო, მეტად თავმდაბალი და სათნო ქალი, დიდი მზრუნველობით ეკიდებოდა კავთისხეველ გლეხებს, იგი ამისათვის ყველას უყვარდა. ცხრა შვილის პატრონი იყო ნატო, მეცხრე, ნაბოლარა მარო გახლდათ; ცელქი და მოუსვენარი გოგონა მთელ დღეებს კავთისხეველ გოგო-ბიჭებში, ველ-მინდვრებზე ატარებდა. ჯირითობდა, ფარიკაობდა. უფროსები უშლიდნენ, ეშინოდათ, ხიფათს რასმეს არ გადაყროდა. მარო თავისას არ იშლიდა, ჩუმად საჯინიბოდან ცხენს გაიყვანდა და ვიდრე ქანცი არ გაუწყდებოდა, არ მოისვენებდა.

თარხნიშვილების ოჯახში მღეროდა ყველა; პატარა მაროს განსაკუთრებით გიტარა იზიდავდა. როგორც კი დროს იშოვიდა, მაშინვე დაითრევდა ამ საკრავს, მიუხედავად იმისა, რომ ძლივს ეროდა. ხშირად ტუქსავდნენ ამისათვის, მაგრამ იგი თავისას არ იშლიდა. თითქმის ყოველდღე ისმენდა ოჯახში თავშეყრილი სტუმრების—ციციშვილების, ერისთავების, ამილახვრებისა და ამირაჯიბების მიერ შესრულებულ ტკბილ ქართულ სიმღერებს, მაროსაც უნდოდა ასევე ემღერა და აკი სულ ცოტა ხანში იგი არა მარტო ამღერდა, კომპოზიტორიც გახდა.

კავთისხეველმა ახალგაზრდებმა აკაკის „პატარა კახის“ დადგმა განიზრახეს. ლევან ქვაბულიძის როლი მაროს დააკისრეს, რადგან მისი ხმა (კონტრალტო) მამაკაცის ხმას ედრებოდა.

დაიგვიანეს, ჯერ არსად ჩანან,
მაგრამ სალამურს თუ მოჰკრეს ყური.

აღიღინდა მარო და ღიღინი სიმღერად იქცა. ამ დღიდან შეემატა ქართულ მელოდიებს წარმტაცი „დაიგვიანეს“.

სიმღერაში იზრდებოდა მარო, და-ძმებში, მის გარდა, ეკატერინეს აღმოაჩნდა განსაკუთრებული ნიჭი და აი კიდეც გაითქვეს დებმა თარხნიშვილებმა სახელი. ისინი ერთად გამოდიოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, და ქართულ ეროვნულ სამოსში გამოწყობილნი, განსაკუთრებით მომხიბვლელები იყვნენ.

1921-22 წლებში მარო თბილისის კონსერვატორიაში მოღვაწეობს, ახალგაზრდებს იგი ქართულ ხალხურ სიმღერებს ასწავლის; იმავე ხანში იგი აყალიბებს ქართული ხალხური სიმღერების გუნდს, რომელმაც მალე მიიქცია საზოგადოების ყურადღება.

1926 წელს ზეიმით აღინიშნა ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის გახსნა. ზეიმის დროს მარო თარხნიშვილმა მინდორზე რამდენიმე ესტრადა მოაწყო. მისი ანსამბლის მიერ შესრულებული ტკბილი ქართული სიმღერები ხან ერთი მხრიდან გაისმოდა, ხან მეორიდან.

ხუთ ათეულ წელზე მეტი ემსახურა მარო თარხნიშვილის ანსამბლი ჩვენს ხალხს.

დიდი სამამულო ომის წლებში მარო თარხნიშვილის გუნდმა მეტად ნაყოფიერად იმუშავა სამხედრო ნაწილების, ჰოსპიტლების, შავი ზღვის სამხედრო ფლოტის, წამყვან საწარმოთა და კოლმეურნეობათა მხატვრული მომსახურებისათვის. საპატიო სიგელები და მედლები, მებრძოლთა და ოფიცერთა აღფრთოვანებული წერილები მოწმობენ ამ ანსამბლის თავდადებულ მუშაობას ომის სუსხიან წლებში. 400-ზე მეტი საშეფო კონცერტი აქვთ მათ ჩატარებული. ახლაც დიდი მღელვარებით იგონებს მარო იმ წუთებს, როდესაც ომის სუსხიან წლებში გენერალ გიორგი ყურაშვილის მამაც ჯარისკაცებს სიმღერით აცილებდნენ ფრონტზე.

მარო თარხნიშვილს ხალხური სიმღერების დიდი რეპერტუარი აქვს, თითქმის 180 სიმღერამდე; იგი სათავეში ედგა არა ერთ ანსამბლს და წლების მანძილზე დიდი ამაგი დასდო ქართული მუსიკალური ფოლკლორის შესწავლისა და განვითარების საქმეს. მ. თარხნიშვილმა ხალხური სიმღერის არა ერთი ნიჭიერი შემსრულებელი აღზარდა, მათ შორის საკუთარი შვილები — ვანო და თამარი, რომლებიც დედას გვერდში უდგნენ როგორც მომღერლები.

დიდი სიამოვნება მიიღო კიდევ ერთხელ თბილისის საზოგადოებრიობამ ამას წინათ, ხელოვნების მუშაკთა სახლში, სადაც მოეწყო „ქართლ-კახური სიმღერებისა და ცეკვის ანსამბლის“ დაარსებიდან, 55 წლის თავის აღსანიშნავი შეხვედრა. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ანსამბლის ყოფილი წევრები და თბილისის მკვიდრნი შეხვდნენ ერთმანეთს; შეხვედრა მეტად გულთბილი და წრფელი იყო.

სიმღერასაც, როგორც შვილს, ისე სჭირდება მოვლა, დაცვა და გაფრთხილება. მარო თარხნიშვილმა ქართულ ხალხურ სიმღერას ნამდვილი დედობა გაუწია.

ნელი ჩაჩავა



ილია აროსია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ილია და აკაკი

საქართველოს სინათლე ხართ,
განუყრელი მზე და მთვარე,
გულს რომ იპყრობთ, სულშიც შეხვალთ,
მიტაცებთ და ეს მახარებს.
დღე რომ დღეობს, თქვენდაგვარი
ახლავს სიბრძნის ნაკვალევი,
დღედაღამე თქვენ დაგხარით,
რომ ხართ აგრე საყვარელნი.
თქვენზე ბევრჯერ მილოცნია,
უთქვენობით რას ვიზამდი,
თქვენებრ სიტყვა ვის მოსცვივა,
ტრფობის ნექტარს სხვა ვინ სვამდა?!
თქვენი წრფელი ნაკვესები
ყოველ ქართველს თვალწინ ედგა,
რა სიტყვები, რა ლექსები —
დასაქუხი არწივებთან, —
რომ ქართველი ქართველობდეს
თავის ქვეყნის სიდიადით,
ორგულობის არ სჯეროდეს,
მკერდზე ძმობის სხივი ადგეს.
ძმობაც გვესმის თქვენებურად,
თქვენებურად, რუსთველურად...

უკვდავების მოდგმისა ვართ,
დღემდე წელში ვიმართებით,
როდინდელნი როდისა ვართ
მადიდებლად იმ ქართველის,
ვინაც მართლა იოცნება
სასხივოსნო საოცნებო,
წინსვლას არ გაიოცებდა,
არ იტყოდა „თავო ჩემოს“.
თითქოს ციდან დაეშვებით,
რაც რომ გითქვამთ,
მარად გვეთქვას,
რა სიტყვები, რა ლექსები,
დასამღერი არწივებთან!

## პოეტის ფიქრი

აქვს სივრცე დიდი, თან ბინაც
ვითარც ღამითა, დილითაც,
აქ რომ ფრინველი დაფრინავს,
ფრთებით არის და ტვინითაც;
მაღლა და ლაღად ფრთებს გაშლის,
ედება არე-მარესა,
თუ თვისი ბარტყიც ხვდება შინ,
უჯობს ყოველგვარ ალერსსა...
ან როცა ცაში იჭრება
რა დარდი უნდა ეახლოს,
ვერ დაიხელთოს ვერავინ.
ძირს დაცემული ვერ ნახონ!
სივრცე აქვს დიდი, თან ბინაც,
ვითარც ღამითა, დილითაც,
აქ ფრინველი რომ დაფრინავს,
განა ფრთებითა, ტვინითაც.

# ჭრელ-ჭრელი ამბები



## მოჟრის ბიზნესი

კანადაში, ქ. ჰუსტონში პოლიციამ ყურადღება მიაქცია ერთ შოფერს, რომელსაც წვიმის დროს უცნაურად დაჰყავდა მანქანა: იგი სწრაფად მიჰქროდა გუბეებზე და თავით ფეხებამდე წუწავდა გამვლელებს. შოფერი დააკავეს და ჰკითხეს, თუ რატომ იქცევა ასე თავხედურად. გამოირკვა, რომ იგი მუშაობდა ქიმწმენდის სახელოსნოში. იმ მიზნით, რათა მუშტარი ბლომად ჰყოლოდათ, სახელოსნოს მეპატრონეები თურმე ქირაობდნენ შოფრებს და ავალებდნენ მაგრად გაეწუწათ ქუჩაში მოსიარულე მოქალაქენი.



## საპატარძლო კაბა

იაპონური ფირმა „მიცუკოსი" ქაღალდიდან ამზადებს... დაპრესილ საქორწინო კაბებს. გარეგნულად იგი თითქმის არ განსხვავდება ძვირფასი ქსოვილის კაბისაგან, მაგრამ ასეთ კაბებთან შედარებით, ქაღალდის კაბა მეტად იაფი ღირს. ქორწილზე მოწვეულ სტუმრებს შეუძლიათ თავიანთი ავტოგრაფი დატოვონ საპატარძლოს კაბაზე; რაკი-ღა საპატარძლოს ქაღალდი ბლომად აქვს, ზოგი ლექსებსაც მიაწერს ხოლმე მის კალთებზე თუ სახელოებზე.



## ოჯახი დაანგრია... ჭადრაკმა

მილანის ერთ-ერთ სასამართლოში ამას წინათ მეტად ორიგინალური განქორწინების პროცესი ჩატარდა. როგორც გამოირკვა, ცოლ-ქმრის ედვიგისა და ალფრედ რუბინშტეინების გაყრის მიზეზი გახდა... ჭადრაკი. ქმარი თურმე ისე გაიტაცა ჭადრაკის თამაშმა, რომ მთლიანად მიავიწყდა ოჯახი და უარს აცხადებდა რაიმე გაეკეთებინა. ქალი იძულებული გახდა თვითონ დაეწყო სამსახური. „იგი დილიდან საღამომდე მხოლოდ ჭადრაკის თამაშით არის გართული!" — ცრემლების ფრქვევით განაცხადა მან. მილანის სასამართლომ, რომელიც ჩვეულებრივ დიდ სიმკაცრეს იჩენს ხოლმე განქორწინების საქმეში, ედვიგი და ალფრედი მაშინვე განაქორწინა.



## კანონი კანონია

ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობის გაცნობის დროს შეუძლებელია ადამიანი არ გაოცდეს. ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ ნაწილს იმ უცნაური კანონებისა, რომლებიც სხვადასხვა შტატების კოდექსებშია შეტანილი.

მინესოტის შტატში აკრძალულია ერთ თოკზე გაშროთ მამაკაცის და ქალის თეთრეული.

ინდიანას შტატში აკრძალულია ტრამვაიში ჩაჯდომა, თუ მას შემდეგ, რაც ნიორი მიირთვით — ოთხი საათი არ გასულა.

ილინოისის შტატში ციხეში შეუძლიათ ჩასვან ქალი, რომელმაც ერთ მაღაზიაში ექვსზე მეტად გაისინჯა კოსტუმი თავის ტანზე.

კალიფორნიაში იმ ადამიანს, რომელსაც ნადირობის ნებართვა არა აქვს, ეკრძალება სათაგურის დადგმა თავის ბინაზე.

მიჩიგანის შტატში აკრძალულია ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით გადაფურთხება.

არიზონაში, იმ ადამიანმა, რომელიც საპნის ქურდობისათვის დაიჭირეს, მოპარული საპნით მანამდე უნდა იბანოს პირი და ხელები, სანამ საპნის ნაჭერი არ გათავდება.



## მოკრივეები ლუვრში

პარიზში, ლუვრის მუზეუმში, ამას წინათ დარაჯად მიიღეს ცნობილი ფრანგი მოკრივე ვანიუსიმი, რომელსაც დაავალეს ლეონარდო და ვინჩისა და რაფაელის ნახატები დაეცვა. იმის გამო, რომ ქურდები ხშირად ცდილობენ გაიტაცონ გენიალური მხატვრების ძვირფასი ტილოები, ვანიუსიმმა მუზეუმში ჩამოაყალიბა დარაჯების მოკრივეთა სექცია. თვითეულ დარაჯმოკრივეს ახლა თავისუფლად შეუძლია ოსტატური დარტყმით მიწაზე დასცეს მუზეუმში შემოსული ბოროტგანმზრახველი.



## სტუდენტები კმაყოფილნი არიან

ცნობილ ბრაზილიელ ფეხბურთელს პელეს ამას წინათ მიანიჭეს „სანტოსის უნივერსიტეტის საპატიო კურსდამთავრებულის" წოდება. პელე ამ ამბავს საკმაოდ გულგრილად შეხვდა: მას არასოდეს არ უსწავლია ამ უნივერსიტეტში. სამაგიეროდ სტუდენტები, რომლებიც ამ შემთხვევის გამო იმ დღეს მეცადინეობიდან გაანთავისუფლეს, მეტად კმაყოფილები იყვნენ.



## თავისუფლების ფასი

ოკლახომელმა ელეონორა ს-მ (აშშ) მოითხოვა ქმართან გაცილება. მიზეზად მან დაასახელა ის გარემოება, რომ მისი მეუღლე არ იპარსავს წვერს, არც თმას იკრეჭს. ბრალდებული, რომელიც შვიდი თვის განმავლობაში სადალაქოში არ შესულა, სასამართლოში გამოცხადდა ისეთი საშინელი სახით, რომ მოსამართლეებმა მაშინვე განაქორწინეს მეუღლეები.

სასამართლო პროცესის დამთავრების შემდეგ განქორწინებულმა ქმარმა მაშინვე სადალაქოს მიაშურა. მან განაცხადა, რომ ახლა მას სურს კვლავ ადამიანურად იცხოვროს.



## მსაჯი დაისაჯა

ფეხბურთის მოედანზე, ჩვეულებრივ, მსაჯი სჯის ხოლმე მოთამაშეს, ინგლისში კი ამას წინათ შებრუნებით მოხდა: მსაჯი ფილიპსი ფეხბურთელის თხოვნით იქნა დასჯილი. საქმე შემდეგში იყო: ერთ-ერთი მატჩის დროს „მანჩესტერ იუნაიტედის" გუნდის თავდამსხმელმა დენის ლოუმ ახლო მანძილიდან რამდენჯერმე ააცილა ბურთი კარს. ყოველი დარტყმის შემდეგ მსაჯი დამცინავი ღიმილით მიდიოდა ლოუსთან და კომენტარებს უკეთებდა მის თამაშს. შესვენების დროს ლოუმ ამის გამო მსაჯთა კოლეგიაში იჩივლა. მსაჯთა კოლეგიამ არბიტრს სასტიკი საყვედური გამოუტანა.

ჭრელ-ჭრელი ამბები

# გულმავიწყი

ანდრია ძალიან გულმავიწყი კაცი იყო.

ერთხელ სახლიდან გასვლის წინ ცოლმა ანდრიას წერილი გადასცა და უთხრა:

— არ დაგავიწყდეს, გახვალ თუ არა, საფოსტო ყუთში ჩააგდე, რომ დეიდა კატომ ხვალვე მიიღოს. ძალზე საჩქარო წერილია.

მაგრამ ქუჩაში ანდრიას წერილი აღარ გაახსენდა; ავტობუსის გაჩერებასთან იდგა და თავის ფიქრებში იყო წასული.

უცებ ვიღაცამ მხარზე ხელი დაჰკრა:

— მეგობარო, წერილი არ დაგავიწყდეს!

ანდრია იმწამსვე გაიქცა საფოსტო ყუთისაკენ წერილის ჩასაგდებად. გზაში მეორემ მიაძახა:

— ეი, ძველო! ჩაგდება არ დაგავიწყდეს!

ანდრიამ წერილი ჩააგდო.

— უკვე იზრუნეთ წერილზე? — ჰკითხა ორიოდე წუთის შემდეგ ხანში შესულმა მანდილოსანმა.

— ღმერთო ჩემო, — წამოიძახა გაკვირვებულმა ანდრიამ და ქალს ჰკითხა:

— საიდან იცის მთელმა ქალაქმა, წერილი რომ უნდა ჩამეგდო? მე იგი კარგახანია ჩავუშვი ყუთში.

ქალმა გაიღიმა და მიუგო:

— თუ მასეა, მაშინ მოგაცლით ბეჭებზე მიკერებულ ბარათს.

ბარათზე ეწერა: „გთხოვთ გააფრთხილოთ ჩემი მეუღლე, რომ წერილის ჩაგდება არ დაავიწყდეს".

**შოთა ამირანაშვილი**

---

* გადმოკეთებულია.

# მხიარული დიალოგები

* * *

— არ დაესწრები ჩემს დისერტაციას?

— ფილოსოფიისა არაფერი გამეგება და რა აზრი აქვს დასწრებას.

— ტაშის დაკვრას რა ფილოსოფია უნდა, შე კაცო!

* * *

— რას იტყვი ჩემი უკანასკნელი რომანის შესახებ?

— თუ ეს ნამდვილად თქვენი უკანასკნელი რომანია, სულითა და გულით მოგილოცავთ.

**ზაზა კაციაშვილი**

# ყიამყრალი სტუმარი

ერთხელ სკოლის ამხანაგმა
ჩემს ოჯახში მნახა,
შემომძახა — მოტეხილხარ,
ჰგავხარ ბებერ გლახას!

მეც გამთათხა ყიამყრალმა
და შემიმკო ცოლიც:
— ქალბატონო, შესაფერი
გიპოვნიათ ტოლი!

ბავშვს შეხედა, ჩაიცინა,
გამილანძღა ჩვილიც:
— აჰა, ერთი უსაქმურიც
ემატება თბილისს!

ბავშვს მიმართა: — შენს მამიკოს,
მახსოვს როგორც გუშინ,
კლასში, ერთხელ, ხა-ხა, ხა-ხა,
გადავასხი ტუში.

ჯერ მიაძლა ხაჭაპურებს,
საცივსა და წიწილს,
მერე სუფრაც დამიწუნა,
მოჰყვა უშნოდ სიცილს.

ღვინოს გემო რომ გაუგო,
სულ დაკარგა გონი,
დანაყრდა და ეს წარმოთქვა:
— წავიხემსე, მგონი!

შინ წასვლისას სესხი მთხოვა,
მეც ვერ გავაწბილე,
და შუაზე გავუყავი
ჯიბის ფული მცირე.

წავიდა და წაიყოლა
ავი სიტყვის ხვავი;
მოდი ასეთ სტუმრისათვის
შეიწუხე თავი!

მიხა შილდელი

# ფიშერი ჟურნალისტის თვალით

მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ამერიკის შეერთებული შტატებიდან ითამაშებენ ქვეყნის შვიდგზის ჩემპიონი რ. ფიშერი, ვეტერანი ს. რეშევსკი და ახალგაზრდა გროსმაისტერი რ. ბირნი. მათგან ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს 23 წლის რობერტ ფიშერის გამოსვლა — იგი ხომ საბჭოთა მოჭადრაკეების ძირითად მეტოქედ ითვლება.

უკანასკნელი წლების მანძილზე ამერიკული ჭადრაკის მოყვარულები ორ ბანაკად გაიყვნენ: ფიშერისა და რეშევსკის მომხრეებად. მათი ნაწილი ნამდვილი საჭადრაკო ფანატიზმით გაიმსჭვალა. ფიშერი, რა თქმა უნდა, ახალგაზრდების „ფალავანია“. იგი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა იყო, როდესაც XIX საუკუნის გამოჩენილი მოჭადრაკის პოლ მორფის ღირსეულ მემკვიდრედ ითვლებოდა. რაც შეეხება რეშევსკის, მართალია, იგი ერთგვარად დასუსტდა, მაგრამ მაინც თვალსაჩინო შედეგებს აღწევს. ამერიკის შეერთებული შტატების ამასწინანდელ ჩემპიონატში მან საუცხოო სტილით სძლია ფიშერს. ეს მისი პირველი მოგებაა ახალგაზრდა გროსმაისტერთან 1961 წლის შემდეგ, როდესაც მეტოქენი მატჩში შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ, მეთერთმეტე პარტიის შემდეგ (ანგარიში თანაბარი იყო — 5,5:5,5) ფიშერი არ დაეთანხმა მსაჯთა კოლეგიას, რომელმაც რეშევსკი შაბათს თამაშიდან გაანთავისუფლა (რეშევსკი, როგორც მორწმუნე ებრაელი, შაბათობით არ თამაშობს). მატჩი ჩაიშალა და ფიშერს წაგება ჩაეთვალა.

მოგვყავს ნაწყვეტები ჟურნალისტ ჰენრი სტოკპოლდის წერილიდან, რომელიც ფიშერს კარგად იცნობს:

„იქმნება შთაბეჭდილება, რომ ფიშერი მშვენივრად გრძნობს თავს ნერვიული დაძაბულობის დროს, რომელიც ყველა სხვა მოთამაშეზე იმოქმედებდა. ამით აიხსნება მისი თამაშის სტილიც. ყველა პარტიას იგი მეფის წინა პაიკით იწყებს, რადგან მიიჩნევს, რომ ლაზიერის წინა პაიკის დებიუტები თამაშს მოგებისათვის საჭირო სიმწვავესართმევენ. ერთხელ ოსტატი ჰანს ბერლინერი შეეცადა ფიშერი დაერწმუნებინა, რომ ლაზიერის პაიკის დასაწყისი ურიგო როდია, მაგრამ ასეთი პასუხი მიიღო:

— თქვენ ყველანი, ლაზიერის პაიკის დასაწყისის მოყვარულნი, ყოველთვის ცდილობთ დამარწმუნოთ, რომ მე სწორი არა ვარ. მეფის პაიკის დასაწყისი მე აქამდე ერთგულად მემსახურებოდა და არც ვაპირებ უარი ვთქვა მასზე.

ფიშერი დარწმუნებულია, რომ თეთრებით საუკეთესო დებიუტს ირჩევს. ამ მხრივ იგი ჰგავს სტეინიცს, რომელსაც ყველა მოჭადრაკეზე მაღლა აყენებს.

ბევრი თანამედროვე გროსმაისტერისაგან განსხვავებით, ბობის მთელი ცხოვრება ჭადრაკის ირგვლივ ტრიალებს; მან სწავლასაც კი თავი დაანება, რათა პროფესიული მოჭადრაკე გამხდარიყო; არასდროს არ დამავიწყდება ჩვენი პირველი გაცნობა. ფიშერი მსუბუქ პარტიას თამაშობდა და თან ცნობილი თანამედროვე თეორეტიკოსის დებიუტების წიგნს კითხულობდა. „შეხედეთ, რა შეცდომებია“, გვითხრა მან და გვიჩვენა 26 სვლის შემდეგ შექმნილი პოზიციის ანალიზი ესპანურ პარტიაში.

ბობი ადამიანებს გაურბის, ისე კი გულკეთილია. ძლიერ მორცხვია და სრულიად იბნევა ქალების საზოგადოებაში. ბობის აზრით, გოგონების გაცნობა არც ისე დიდად აუცილებელია, რადგან ისინი ჭადრაკში ვაჟებზე გაცილებით უარესად ერკვევიან. ერთხელ მან ასეთი კომპლიმენტი უთხრა გროსმაისტერ ა. ბისჰაიერის მეუღლეს: „კაროლა, თქვენ ჩემი ერთადერთი ნაცნობი ქალი ხართ, რომელსაც შეუძლია მეფეს შამათი გამოუცხადოს მხედრითა და კუთი“. ეს უდიდესი ქება იყო ფიშერის მხრიდან.

როდესაც კურასაოში გროსმაისტერი ტალი ავად გახდა და იძულებული იყო საავადმყოფოში დაწოლილიყო, ბობი მაშინვე ეწვია მას. ფიშერის ასეთი ვიზიტი საინტერესო იყო კორესპონდენტისათვის და ამიტომ მეც გავყევი. გადავუღე რამდენიმე სურათი საბჭოთა და ამერიკული ჭადრაკის ტიტანებს მათ მიერ მსუბუქი პარტიების გათამაშების დროს (ჭადრაკსა და დაფას ტალი საბნის ქვეშ მალავდა, რათა ექიმებს არ ჩამოერთმიათ მისთვის). როდესაც საავადმყოფოდან გამოვდიოდით, ბობიმ მითხრა: „მამაცი ჭაბუკია. ბრძოლა უყვარს და ეს ძალიან მომწონს“.

ჭადრაკი ბობისათვის კრიტერიუმია, რომლითაც იგი მსჯელობს ყველაზე და ყველაფერზე. იგი ისეა გატაცებული ჭადრაკით, რომ ახლო მეგობრები თითქმის არა ჰყავს. მას მრავალი გულშემატკივარი ჰყავს, მაგრამ ცოტა ახლო ადამიანი. როდესაც ფიშერმა ბისჰაიერის დამარცხების შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონობა მოიპოვა, არავითარი ზეიმი არ გადაუხდიათ. დამთავრდა თუ არა ჩვეულებრივი მილოცვები, ამერიკის ჭადრაკის მეფემ დასტოვა ოტელ „ჰენრი გუდზონის“ დარბაზი, კაფეში წავიდა, ბუტერბროდით დანაყრდა და კინოს მიაშურა. მას მხოლოდ ორი კაცი ახლდა: ახალგაზრდა მოჭადრაკე ცუკერმანი და მე, გაზეთის თანამშრომელი“.

გივი გამრეკელი

გარეკანის პირველ გვერდზე: ვ. ი. ლენინი. მხატვარი უჩა ჯაფარიძე.
მეოთხე გვერდზე: თბილისი, საბურთალო. ფოტო თ. არჩვაძისა.


რედაქტორი გ. ნატროშვილი.
პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე.
სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. სააკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის 9-54-66, პ/მგ. მდივნის—9-82-69, განყოფილებების—3-28-42, 9-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/IV-66 წ. გამომც. № 56, ქაღ. ზომა 70×108 1/8. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79.
პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 26.000. შეკვ. № 1076, უე 02989

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. №14.





# ძველი თბილისი







ფოტო ო. თურქიასი

ИНДЕКС 76056



ეროვნული ბიბლიოთეკა